პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 29 (12845) | სამშაბათი, 4 თებერვალი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.



ამ სურათზე (მარცხნიდან) ხედავთ თბილისელ მკერავ პ. ბოგდანოვას, მახარაძელ მეჩაიეს ტ. ჩხაიძეს, თბილისელ მემანქანეს შ. აბასაშვილს, გორელ მექანიზატორს გ. ცერცვაძეს და ქობულეთელ მეჩაიეს ლ. კონცელიძეს. ისინი რიგითი საბჭოთა ადამიანები არიან, მაგრამ ენერგიული, პატიოსანი შრომით მთელ რესპუბლიკაში გაითქვეს სახელი. ამიტომაც მათ წილად ხვდათ მონაწილეობა მიეღოთ ახლახან დამთავრებულ საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მუშაობაში, როგორც მის დელეგატებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საქმე თქვენგზეა, კომუნისტებო!

რამდენიმე დღეა მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ. ყრილობამ მოისმინა და განიხილა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, დამატებული სარევიზიო კომისიის მოხსენება, მოისმინა დელეგატების გამოსვლები.

თავის რეზოლუციაში ყრილობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანოზაციებმა, რომლებიც ახორციელებდნენ სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის პროგრამას და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საანგარიშო პერიოდში დიდი წარმატება მოიპოვეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში.

საქართველოს მშრომელთა გულისთქმა იყო გამოხატული ყრილობის მიერ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვისადმი გაგზავნილი მისალმებაში: „საქართველოს მშრომელები ყველა წარმატებას კომუნისტურ მუშაობაში უმაღლიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა ურღვევ ლენინურ მეგობრობას, რომლებიც ერთიან ეროსულოვან ოჯახად აშენებენ კომუნისტური საზოგადოების ნათელ შენობას“.

საანგარიშო მოხსენებაში და დელეგატთა გამოსვლებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანოზაციებმა გააუმჯობესეს ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა. მაგრამ ახლა, როცა დამთავრდა ყრილობა, როცა შეჯამებულია ყრილობიდან ყრილობამდე გაწეული მუშაობა, მთავარია კომუნისტებისა და უპარტიოების ყურადღება გავამახვილოთ ყრილობის მიერ დასახულ ამოცანებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე მთელ ჩვენს მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ჩვენი რესპუბლიკის თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულ კომუნისტს, სადაც უნდა მუშაობდეს იგი. ყველგან და ყველაფერში უნდა იგრძნობოდეს კომუნისტის მაღალი პასუხისმგებლობა, მისი ავანგარდული როლი. დიდი ამოცანები აქვთ გადასაჭრელი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კომუნისტებს. საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია ზარალიან საწარმოთა რიცხვი; დიდი რაოდენობით არის დაუდგმელი მოწყობილობა, რომლის ღირებულება მილიონობით მანეთს შეადგენს; ჭიანურდება შრომატევადი პროცესების მექანიზაციის სამუშაოები მსუბუქი, კვების, სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობაში; სერიოზული ნაკლოვანებებია რკინიგზის, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის მუშაობაში მგზავრთა გადაყვანის მხრივ, ასევე ნაკლოვანებებია კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობაში. ნელა ხორციელდება სოფელ აგდილების რადიოფიკაცია და ელექტროფიკაცია; სამშენებლო ორგანიზაციები ვერ ასრულებენ საავადმყოფოებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმებს და სხვა. აი საკითხები, აი პრობლემები, რომლებსაც ყოველდღიური ორგანიზატორული მუშაობით წარმატებით უნდა წყვეტდნენ ამ დარგში მომუშავე კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად.

ყრილობაზე ბევრი თქვა ჩვენს სახელოვან სოფლის მეურნეთა შრომითს წარმატებებზე, მათ მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე. მაგრამ ისიც თქვა, რომ წარმატებები გაილებით მეტი იქნებოდა, რომ პარტიულ,საბჭოთა,“ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფრო გაბედულად აემოქმედებინათ გამოუყენებელი რეზერვები, უფრო აქტიურად ებრძოლათ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებისათვის, უფრო ფართოდ დაენერგათ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა გამოცდილება. ბევრი პარტიული კომიტეტი და საწარმოო სამმართველო საკმარისად არ ზრუნავს მარცვლეულ მეურნეობის განვითარებისათვის, რაციონალურად არ იყენებს სარწყავ მიწებს; ზოგიერთი ხელმძღვანელი ხოტბა-დიდებას ასხამს მინერალურ სასუქებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, „ოქროს“ უწოდებს მათ, ხოლო პრაქტიკულად ღია ცისქვეშ, ან უვარგის ფარდულებში ინაყებს სასუქებს! ეს მოუთმენელია და შემდეგში აღარ უნდა განმეორდეს.

მალე მოსკოვში მუშაობას შეუდგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმი განიხილავს სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ეს ძალიან ბევრს ავალებს ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს. ახლა თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის მთავარი საზრუნავი უნდა იყოს ის, რომ კარგად მოვემზადოთ გაზაფხულისათვის, რომ სანიმუშოდ გამოვაზამთროთ პირუტყვი და შევინარჩუნოთ ნამატი, ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

ყველაფერი, რაც ჩვენს ქვეყანაში იქმნება მატერიალური წარმოების სფეროში, ხმარდება საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობას. ყველაზე მთავარია, ყველაზე ძვირფასია ადამიანი. ამიტომაც ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო კომუნიზმის მშენებელი ადამიანის სულის ფორმირების საკითხებს. ბევრი თქვა იმ დიდ მუშაობაზე, რასაც უკანასკნელ წლებში, და განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ იდეოლოგიური მუშაობის ცხოვრებასთან დაკავშირებლად. და მიუხედავად ამისა, დღემდე მთელ რიგ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობა ჩამორჩება პარტიის მოთხოვნებს, წარმოებს ისე, რომ არა აქვს სათანადო გაჯანება.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ პარტიული კომიტეტები, მათი მდივნები, თვითეული პარტიული მუშაკი მუდამ უნდა იყვნენ დაინტერესებული. თუ რა მდგომარეობაა იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბანზე. მათ უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ გაძლიერდეს იდეოლოგიური მუშაობის გავლენა საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ საქმიანობაზე, გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაზე, უმდიდრესი რეზერვებისა და შესაძლებლობათა გამოყენებაზე, სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოფხვრაზე.

საქმის წარმატებას ყოველთვის წყვეტენ კადრები, ადამიანები. ამიტომაც ყრილობის მუშაობაში დიდი ადგილი დაეთმო კადრებთან მუშაობას, გამოაშკარავებულ იქნა ნაკლოვანებები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

ყრილობამ დაავალა პარტიულ კომიტეტებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებს გაუმჯობესონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღების საქმე. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ აღზარდონ და იდეურად გამოაწრთონ კომუნისტები, განსაკუთრებით პარტიის ახალგაზრდა წევრები და კანდიდატები პრინციპულობის, პატიოსნებისა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ყრილობის რეზოლუციაში გამოკვეთილად არის ლაპარაკი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ. კომკავშირის მთავარი ამოცანა ის არის, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები აღზარდოს რევოლუციური ბრძოლის გმირული ტრადიციების მიხედვით, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის თავდადებული შრომის მაგალითებით, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით, მოამზადოს კომუნიზმის მტკიცე, განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდა მშენებლები.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები დიდი ამოცანების წინაშე არიან. ახლა ყველაზე მთავარია თვითეულ მშრომელს ღრმად განვიმარტოთ საქართველოს კპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა, გავაძლიეროთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, ავამაღლოთ მათი როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაჭრაში.

კომუნიზმი გამრჯე მარჯვენით და ნათელი გონებით აშენდება. შვიდწლედის მეექვსე წლის ამოცანები ახალი ზღუდეების ასაღებად გვიხმობს.

საქმე თქვენზეა, კომუნისტებო!

სახელოვანი წლისთავი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს გეორგე გეორგიუ-დეჟეს და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს იონ გეორგე მაურერს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად ულოცავენ რუმინეთის ხელმძღვანელობა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მუშაკებს 1964 წლის 23 იანვრის დადგენილების პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების მშრომელთა იმ ინიციატივის შესახებ, რომ გაიაზალოს სოციალისტური შეჯიბრება, დიდი ინტერესით გაეცნენ რუსთავის ქიმიკოსები და ქიმიური ობიექტების მშენებლები.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა ვალდებულება იკისრეს:

შვიდწლედის მეექვსე წლის დავალება შეასრულონ 1964 წლის 29 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათასობით ტონა აზოტოვანი სასუქები, დაიჭარონ კაპროლაქტამის საწარმოს საპროექტო სიმძლავრის ათვისება, რისთვისაც პირველ კვარტალში აამუშაონ სამი საწარმოო ხაზი;

ათვისონ ამონიუმის სულფატის საამქროს სრული საპროექტო სიმძლავრე;

წელს დაიწყონ ამიაკის მძლავრი საწარმოს მშენებლობა.

მიმდინარე წელს დამთავრონ № 1 და № 3 შებრუნებითი ციკლის მეორე და მესამე სინთეზური სვეტებისა და ჰაერის დაყოფის საამქროების სრული ავტომატიზაცია და მექანიზაცია.

სახალხო ლაშქრობა დიდი ქიმიისათვის

მხარი დავუჭიროთ პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას!

შემჭიდროებულ ვადებში

რუსთავი. (საკ. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1964 წლის 23 იანვრის დადგენილების პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების მშრომელთა იმ ინიციატივის შესახებ, რომ გაიაზალოს სოციალისტური შეჯიბრება და კვლავ გამარჯვებულად ცნეს ამერიკავკასიის რკინიგზის კოლექტივი და მას მიანიჭეს სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებს საპატიო ჯილდო სამი კვარტალის მანძილზე ზედიზედ მიეკუთვნა.

გზათა სამინისტრომ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუღოლიეს რკინიგზის კოლექტივს დიდი წარმატებანი სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვის დაჩქარებაში ვაგონების მოცდენის შემცირებაში, ყველა სხვა საწარმოო დავალებისა და სოციალისტური ვალდებულების სანიმუშოდ შესრულებაში და გამოთქვეს რწმენა, რომ ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკათა რკინიგზელები კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან შეჯიბრებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, ახალი რეზერვების გამოყენებისათვის შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმის წარმატებით შესასრულებლად, შრომის ნაყოფიერების შემდგომი განვითარებისა და ბეჭითი მუშაობისათვის ზამთრის პერიოდში. (საქდესი).

პროდუქცია — გეგმის ზევით

ქუთაისი. (საკ. კორ.). ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა და მშენებელ-მემონტაჟეებმა დაუჭირეს მხარი პერმის, კემეროვოს, ვოლგოგრადისა და ლუგანსკის ოლქების მშრომელთა ინიციატივას საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და ათვისების ვადის შემცირებისა და ქიმიური პროდუქციის ზეგეგმითი წარმოებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გამოყენებისათვის.

ქიმიკოსებმა და მშენებლებმა გულდასმით განიხილეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს:

გეგმით გათვალისწინებული მესამე კვარტალის ნაცვლად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საგამოცდოდ გადასცენ რაბატოპოლიტის საამქრო და უზრუნველყონ ტყიბულის ქვანახშირის ფისებისაგან — ლიბტობიოლითებისაგან პლასტმასისათვის საჭირო დესტრუქციული წნეხფხვნილის პირველი პარტიების გამოშვება;

ვადაზე სამი თვით ადრე — წლის მესამე კვარტალის ბოლოს მწყობრში ჩააყენონ ლაქსადებავების ახალი საამქრო;

საწარმოო სიმძლავრეთა სრულად გამოყენების გზით მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით 20 პროცენტით გაადიდონ მშრალი ლითოფონის გამოშვება, ხოლო შაბიამნისა — 40 პროცენტით;

შაბიამნის გამოშვების წლიური გეგმა 1,5 თვით ადრე შეასრულონ და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან ასობით ტონა შაბიამანი.

ასე უსწორდებიან იმპერიალისტები პანამის პატრიოტებს

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს განიხილავს მსოფლიო

სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 31 დეკემბრის წერილთან დაკავშირებით ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრმა კეიტ ჰოლიოუმა საპასუხო წერილი გაუგზავნა საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

კეიტ ჰოლიოუმა წერილში აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებანი წამოყენებულია მშვიდობის ინტერესებისათვის და იმის გულწრფელი რწმენით, რომ ეს წინადადებანი სასარგებლო იქნება.

ჰოლიოუკი ამავე დროს აღნიშნავს, რომ ტერიტორიული დავის პრობლემასთან ერთად არის „გაცილებით უფრო სასწრაფო პრობლემები“, რომლებიც მოითხოვენ გადაჭრას. იგი აღნიშნავს, კერძოდ, ატომური იარაღის გამოცდის სრული აკრძალვის პრობლემას; საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის ღონისძიებებს, იმ საკითხთა მოწესრიგებას, რომლებიც გადაუჭრელი დარჩა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

წერილში აღნიშნულია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში არის ზოგიერთი ასპექტი, რომლებიც მოითხოვენ შემდგომ განმარტებას და უფრო ზუსტ განსაზღვრას.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს საპასუხო წერილი გაუგზავნა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ლ. ეშკოლმა.

იგი იზიარებს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში გამოთქმულ აზრს, რომ თვითეულმა მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ისრაელის მთავრობა მიესალმება საბჭოთა კავშირის წინადადებას საერთაშორისო შეთანხმების (ან ხელშეკრულების) დადების შესახებ, რომ სახელმწიფოებმა არ გამოიყენონ ძალა ტერიტორიული კონფლიქტებისა და სასაზღვრო დავის გადასაჭრელად და გამოხატავს თავის პრინციპულ მზადყოფნას შეუერთდეს შეთანხმებას, რომელსაც საფუძვლად დაედება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში მოცემული პრინციპები.

საკადესის კორესპონდენტის თხოვნით საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილის გამო განცხადება გააკეთა იუნესკოს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაცია) გენერალურმა დირექტორმა რენე მაიომ.

იუნესკო, თქვა რენე მაიომ, უდიდესი კმაყოფილებით ხვდება ყოველ ინიციატივას, რომელიც საერთაშორისო ვითარებას უფრო ხელსაყრელს გახდის მოლაპარაკებისათვის, კონსტრუქციული დებატებისათვის. მას შეუძლია მხოლოდ ასე შეაფასოს მთავრობათა შორის აზრთა გაზიარება საერთაშორისო შეთანხმების დადების შესახებ, რომ სახელმწიფოებმა ტერიტორიული დავა გადაჭრან მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. იუნესკოს ეს მიაჩნია მხოლოდ გამამხნევებელ ნიშნად ხალხთა ურთიერთგაგებისათვის, რაც მშვიდობის ერთ-ერთი საუკეთესო გარანტიაა. იუნესკო ყოველთვის სწორედ ასე შეხვდება ყოველ კონკრეტულ ღონისძიებას, რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. (საკადესი).

დახედე, მკითხველო, ამ ფოტოსურათს. სისხლით შეღება პანამასიტის გავარვარებული ასფალტი. ამ ქალაქის მცხოვრებნი არხის ზონისაკენ გაემართნენ, მოითხოვდნენ პანამის ალმის აღმართვას შეერთებული შტატების მიერ მიტაცებულ პანამის მიწაწყალზე. ამერიკელთა სამხედრო ხროვამ მათ ტყვიის წვიმით უპასუხა. ფოტოსურათი, რომელიც ჩვენ დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შტერნიდან“ გადმოვბეჭდეთ, გადაღებულია იმ მომენტში, როცა იანკები მხეცურად უსწორდებოდნენ უიარაღო პანამელ პატრიოტებს.

პანამა გრალს სდეგს

ნიუ-იორკი. პანამამ ოფიციალურად დასდო ბრალი შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ 9 და 10 იანვარს დახვრიტეს პანამის შეუიარაღებელი მოქალაქენი პანამის არხის ზონაში, რომლის დროს დახოცილია 23 პანამელი. ეს ბრალდება წამოაყენა პანამის წარმომადგენელმა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში მიგელ მორენომ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს სპეციალურ სხდომაზე, რომელიც განიხილავს პანამის საჩივარს.

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. პანამამ უარყო ლამინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელთა ახალი საშუამავლო ცდები და კვლავ მოითხოვს მიღებულ იქნას დისციპლინარული ღონისძიებანი შეერთებული შტატების მიმართ. იუწყება დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“. (საკადესი).

„პატრიოტი“ რუბი შეარაცხადია

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკადესი). ღამის კლუბების მფლობელი რუბი, რომელმაც მოკლა პრეზიდენტ კენედის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ლ. ოსვალდი, კლიფიკედან, სადაც ის გამოსაკვლევად გგზავნეს, კვლავ სასამართლოში გადაიყვანეს. ფსიქიატრმა ექიმებმა, რომლებიც სასამართლომ რუბის გამოსაკვლევად დანიშნა დაცვის მოთხოვნით, ვერ აღმოაჩინეს ორგანული ცვლილებები რუბის ტვინში.

ექიმები უარყოფენ ამას, თითქოს რუბი, როცა ოსვალდს ესროლა, შეურაცხად მდგომარეობაში იყო.

რუბის ექვსი ადვოკატი ამის მიუხედავად კვლავ იბღაუჭება ყალბ ვერსიას მისი შეურაცხადობის შესახებ, იმისათვის, რათა მიაღწიონ მის განთავისუფლებას, ან პირობითი განაჩენის გამოტანას მაინც.

გარდა ამისა დამცველებს განზრახული აქვთ დაამტკიცონ, რომ რუბიმ ოსვალდი „პატრიოტული გრძნობებ-ს გამო“ მოკლა, თუმცა ცნობილია, რომ ოსვალდის ბრალდება კენედის მკვლელობაში დამტკიცებული არ არის.

ადვოკატების საქციელი მოწმობს, რომ ისინი ყველაფერს კადრულობენ, რათა გადაარჩინონ დამნაშავე რუბი.

„რეინჯერ-6“-მა ვერ შეასრულა თავისი ამოცანები

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკადესი). ამერიკის კოსმოსური ხომალდი „რეინჯერ-6“ გუშინ 4 საათსა და 24 წუთზე ნიუ-იორკის დროით (12 საათსა და 24 წუთზე მოსკოვის დროით) შეასკდა მთვარეს სიმშვიდის ზღვის რაიონში. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, „რეინჯერ-6“ მთვარეზე მოხვედა, მაგრამ ვერ შეასრულა თავისი ამოცანა — ვერ გადაიღო ახლო მანძილიდან მთვარის ზედაპირის სატელევიზიო სურათები, რადგან სატელევიზიო კამერები არ ამუშავდა.

რეაქტიული ძრავების ლაბორატორიის დირექტორმა უილიამ პიკერინგმა განაცხადა, რომ „ალბათ რამდენიმე დღე გაიელის, სანამ სავსებით შეგისწავლით „რეინჯერ-6-ის ფრენის დროს მიღებულ ტელემეტრიულ მონაცემებს და მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოვირკვიოთ მიზეზები, თუ რატომ არ ამოქმედდა სატელევიზიო სისტემა“.

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკადესი). შეერთებულ შტატებს დიდი იმედი ჰქონდათ, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან, რომ ბოლოს და ბოლოს შეასრულებენ მათთვის განუზომრიელებელ ამოცანას ამ რიგით მეოთხე „რეინჯერის“ საშუალებით, რომელიც სპეციალურად გაგზავნეს მთვარეზე დაზვერვლებითი სურათების გადასაღებად.

მთვარეზე დაეეშმდე 15 წუთით ადრე კოსმოსური ხომალდის ავტონომიურმა ელექტრონულმა „ტვინმა“ ტელევიმერებსა და მათთან დაკავშირებულ აპარატურას „გახურვების“ ბრძანება მისცა. წერს კორესპონდენტი. იმაში დასაჯერებელად, რომ ეს მართლაც მოხდა, გოლდსტონის დაკვირვების სადგურიდან აგრეთვე გაგზავნეს სიგნალი, რომელიც ამავე ბრძანებას იმეორებდა.

შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც, როგორც ჩანს, მოწმობდა, რომ ერთხელ კიდევ ჩაიფუშა ცდა, რომელიც ძვირი დაჯდა, ასკვნის კორესპონდენტი.

მტკიცე გადაწყვეტილება

ჰავანა, 3 თებერვალი. (საკადესი). პანამელი ხალხი კვლავ ერთგულია თავისი ლოზუნგისა „სუვერენიტეტი ან სიკვდილი“, — განაცხადა პრესსა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში პანამის ეროვნული ასამბლეის დეპუტატმა ტელმა კინგმა.

ს. ბანდარანაიკეს პასუხი

კოლომბო, 3 თებერვალი. (საკადესი). აქ გამოქვეყნდა ცეილონის პრემიერ-მინისტრის ს. ბანდარანაიკეს პასუხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილზე მსოფლიოს ქვეყნებისა სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი. წერილში აღნიშნულია: „ჩვენ მთავრობა ყოველთვის იცავდა იმ პრინციპს, რომ დავა სახელმწიფოთა შორის უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი საშუალებებით. ჩვენ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა, ვიცავთ ვალდებულებას შევინარჩუნოთ საერთაშორისო მშვიდობა და უშიშროება და არ გამოვიყენოთ ძალა საერთაშორისო დავის გადაწყვეტის დროს...“

„სწორედ ამ სულისკვეთებით, — ხაზგასმით აღნიშნავს დასასრულ ს. ბანდარანაიკე, — მივესალმები წინადადებას, რომელიც თქვენ წამოაყენეთ თქვენს წერილში. ჩემი აზრით, ეს წინადადება მოითხოვს იმას, რომ იგი გულდასმით შესწავლოს ყველა იმ სახელმწიფომ, რომლებიც გულწრფელად დაინტერესებული არიან მშვიდობისა და კეთილი ნების პოლიტიკით“.

კვიპროსი არ დაემორჩილება ნატოს დიქტატს

ნიკოზია, 2 თებერვალი. საკადესის კორესპონდენტი ნ. სემიონოვი და „პრავდის“ კორესპონდენტი ნ. ბრაგინი იტყობინებიან:

კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება უარყოს ინგლეს-ამერიკის ახალი გეგმა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში ნატოს შეიარაღებული ძალების ჩარევისა. ამას იუწყება დღევანდელი პრესა, რომელიც განმარტავს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გუშინდელი სხდომის შედეგებს. სხდომა მიმდინარეობდა პრეზიდენტ მაკარიოსის თავმჯდომარეობით. მონაწილეობდა ლონდონიდან ჩამოსული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური, საგარეო საქმეთა მინისტრი კიპრიანუ. „ოფიციალურად ეს გადაწყვეტილება ეცნობება ხუთმხრივი კონფერენციის მონაწილეებს ლონდონში“,— წერს გაზეთი „ფილელეფთეროსი“.

უკანასკნელ საათს

ჯილდო რკინიგზელებს

სსრ კავშირის გზათა სამინისტროს კოლეგიამ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს ჩვენი ქვეყნის ფოლადის მაგისტრალების მშრომელთა 1963 წლის მეოთხე კვარტალის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და კვლავ გამარჯვებულად ცნეს ამერიკავკასიის რკინიგზის კოლექტივი და მას მიანიჭეს სამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებს საპატიო ჯილდო სამი კვარტალის მანძილზე ზედიზედ მიეკუთვნა.

გზათა სამინისტრომ და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუღოლიეს რკინიგზის კოლექტივს დიდი წარმატებანი სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვის დაჩქარებაში ვაგონების მოცდენის შემცირებაში, ყველა სხვა საწარმოო დავალებისა და სოციალისტური ვალდებულების სანიმუშოდ შესრულებაში და გამოთქვეს რწმენა, რომ ამიერკავკასიის მომმე რესპუბლიკათა რკინიგზელები კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან შეჯიბრებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, ახალი რეზერვების გამოყენებისათვის შვიდწლედის მეექვსე წლის გეგმის წარმატებით შესასრულებლად, შრომის ნაყოფიერების შემდგომი განვითარებისა და ბეჭითი მუშაობისათვის ზამთრის პერიოდში. (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწყალეგულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „წყალწყალეგულთა გადარჩენისათვის“:

1. ელოიანი გაჩიკ ვაგრამანის-ძე — თეთრიწყაროს საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე.
2. ჩარკვიანი შოთა მიხეილის-ძე — ქ. თბილისის № 133 მოაზრის გამგე.
3. ჩიგვარია გრიგოლ ბესარიონის-ძე — ნებაყოფლობითი სახანძრო დაცვის ეკიპაჟის ინოსტრული კომიტეტის უფროსი ბუჰგალტერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი
ზ. ბერაძე

ქ. თბილისი.
1964 წლის 28 იანვარი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო

ამხ. ო. ე. ჩერქეზიას სიტყვა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

□

ამხანაგებო! ჩვენ, საბჭოთა ახალგაზრდობას, დიდი ბედნიერება გვხვდა ვიდგეთ ახალი, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ჰუმანური საზოგადოების სათავეებთან. განუზომლად გვახარებს იმის შეგნება, რომ ჩვენ კომუნიზმის მშენებლები ვართ, რომ ისტორიამ მოგვანდო გახვეხორციელოთ კაცობრიობის მარადიული ოცნება და შეკქმნათ ისეთი საზოგადოება, რომელშიც იმეფებს შვიდობა, შრომა, თავისუფლება, ყველა ხალხის თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება.

ამხ. ვ. პ. მკავანაძის საანგარიშო მოხსენებაში დაწვრილებით იყო გაშუქებული საქართველოს მუშების, კოლმეურნეების და ინტელიგენციის შრომითი გამარჯვებანი. არ შეგვიძლია არ ვიამაყოთ იმით, რომ ეს გამარჯვებანი და წარმატებანი ქალიშვილისა და ჭაბუკების ახალგაზრდულმა ხელმაც გამოჭედა. არ შეგვიძლია არ ვიამაყოთ იმით, რომ კომკავშირელები ბევრი საჭირო და მნიშვნელოვანი საქმის წამომწყებნი არიან, სწორად ანაწილებენ თავიანთ ძალებს და იმარჯვებენ.

გამაყობთ იმით, რომ ახლანდელ ყრილობაზე მამობრივი გულთბილოებით ილაპარაკეს ჩვენი ახალგაზრდობის, საქართველოს კომკავშირის შესახებ. რესპუბლიკის კომკავშირის შრომითი საქმიანობის მაღალი შეფასება ჩვენს ახალგაზრდობაში ენთუზიაზმის, შრომითი აქტივობის ახალ მოზღვავებას იწვევს. საბჭოთა საქართველოს ქალიშვილები და ჭაბუკები ძალოვნულ არ დაიშურებენ იმისათვის, რომ გაამართლონ პარტიის ნდობა და იმედი.

ახლახან მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობამ. დღეს პარტიის ყრილობას მოვახსენებთ, რომ ყველა ვალდებულება, რაც საქართველოს კომკავშირმა იკისრა თავის XXIV ყრილობაზე, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

რესპუბლიკის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ყველაზე აქტიური მონაწილეობით მწყობრში ჩადგა ხრამის მეორე ჰიდროელექტროსადგური, სოხნის წყალსაცავი, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა, მერეფისა და ზედა რგანის ახალი მაღაროები კიათურაში, აშენდა კაპროლაქტამის საამქრო რუსთავში.

ექვსი ათასმა ახალგაზრდა რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა სახელმწიფოს დაუზოგა მილიონობით მანეთი. მთელ რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა მოძრაობა საწარმოთა რიტმული მუშაობისათვის, რომელიც თბილისში დაიბადა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღეს. რიტმულობისთვის მოძრაობა კომკავშირის სამეურნეო საქმიანობის დონის ამაღლების შესანიშნავი მაგალითია. ამ მოძრაობაში ჩაება ათასობით ახალგაზრდა მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი, ჩაუბნენ ახალგაზრდა სპეციალისტთა საბჭოები, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები, ეკონომიური ანალიზის ბიურო. რიტმულობისათვის ბრძოლაში წარმოიშვა სოციალისტურ შეჯიბრებთა შედეგების ყოველდღიური შეჯამების ახალი პრაქტიკაც. რიტმულობისათვის ლაშქრობის მიზანია მიეაღწიოთ შრომის საუკეთესო ორგანიზაციას, დაეუფლოთ ტექნიკას ახალგაზრდა მუშები და ინჟინრები.

დიდი წარმატებანი მოიპოვა სოფლის ახალგაზრდობამაც. მარტო გასულ წელს მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 117 ათასზე მეტი ტონა ჩაის ფოთოლი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი ახალგაზრდა მეკიბრუსეებმა და მესამინდეებმა. გრძელდება ბრძოლა ჩაის პლანტაციებისა და ვენახების სიმეჩხრის წინააღმდეგ. დიდი მუშაობა გასწიეს სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა იმისათვის, რომ ჩამორჩენილი მეურნეობანი განემტკიცებინათ ახალგაზრდა სპეციალისტებით, ძოგმზადებინათ მექანიზატორთა კადრები. 700-ზე მეტმა ახალგაზრდა აგრონომმა, ზოოტექნიკოსმა, ინჟინერ-მექანიზატორმა დაიწყო მუშაობა კოლმეურნეობებში ბრიგადირებად და ფერმების გამგეებად. 400 წრეში და კურსებზე „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებებისა და პროფსოფლ-ტექნიკური განათლების ორგანოების დახმარებით მომზადებულია 7.700 ახალგაზრდა მექანიზატორი.

ამჟამად რესპუბლიკის კომკავშირი დიდ მუშაობას ეწევა იმ მიზნით, რომ სოფლის მეურნეობას დაუბრუნოს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით არ მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ბევრი საყურადღებო თაოსნობა გამოიჩინა ჩვენმა ყოფილმა ახალგაზრდობამ განვლილ ორ წელიწადში. ეს არის მახარაძელი მეჩაიის ეთერ ნიკოლაიშვილის ინიციატივა, რომ უხვი მოსავლის ოსტატის დონემდე აეყვანა თავისი რგოლის ყველა ფვენი. ამის პასუხად დაახლოებით 6 ათასმა ახალგაზრდა მეჩაიემ საშუალოდ ჰექტარზე ხუთ-ხუთ ათას კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს არის ახალგაზრდა გორელი მებაღეების სასარგებლო წამოწყება, რომლებმაც შექმნეს კომკავშირული პროექტორის რაზმები ხილის ბაღების მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად, რაც მოიწონეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ. გორელმა ბებაღეებმა გასულ წელს 15 პროცენტით შეამცირეს არასტანდარტული ხილის რაოდენობა. ეს არის ახალგაზრდული კომკავშირელთა საყურადღებო ინიციატივა, რომელებმაც იკისრეს აღედგინათ და წესრიგში მოეყვანათ შიდასამეურნეო სარწყავი არხები. მათი ძალებით უკვე გაიწმინდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 42 კილომეტრი სარწყავი არხები, რომლებიც უვარგისად თვლებოდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდესი როლი ენიჭება ახალგაზრდობას სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის, დიდი ქიმიის გახვითარების საქმეში. საესებით ბუნებრივია, რომ ქიმიის პრობლემებს დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს კომკავშირის XXV ყრილობამ და დასახა კოჯრეტული ღონისძიებანი, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს ახალგაზრდობამ ახალ სიძლავრეთა ვადამდე მწყობრში ჩაყენებისათვის ბრძოლაში, მრეწველობის ნიხაგინი რეზერვების სრული გამოყენებისათვის, არსებული საწარმოო სიძლავრეების პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, ძველი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შეკლირებისათვის ბრძოლაში. გამოცხადდა სოფლის ახალგაზრდობის ლაშქრობა საყოველთაო აგროქიმიური სწავლისათვის, რათა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა იცოდნენ მინერალური სასუქების სწორი გამოყენება, ძაღლები, ჩაის, ყურძნის, ხილისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მოყვახა. აგროქიმიურ ჯგუფებში უკვე სწავლობს 20 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა.

რესპუბლიკის კომკავშირელები და ახალგაზრდობა ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ დიდი ქიმიის ღირსეული შეფები იყვნენ. ამის საუკეთესო მაგალითია ათასობით წარმების ახალგაზრდა მოწინავენი, რომლებითაც ამაყობს ჩვენი რესპუბლიკა. ესენი არიან საქართველოს კომკავშირის ღუზრდილები, სოციალისტური შრომის გმირები, რუსთაველი მტალურგი არჩილ ძამაშვილი, თბილისელი მქსოველი ეთერ სოლომონია, აკაური მეჩაიე მაყვალა ჯინჭარაძე. ესენი არიან წარმოების შესანიშნავი მშრომელები და ნოვატორები — აფხაზი მაღაროელი ლადიკო მიქვაბია და „აწყურელი მესამინდე ლეონე გონგაძე, მებაღე სამხრეთ-ოსეთიდან გიორგი საგაკეკეი და თბილისელი ზეინკალი ვიქტორ შინდორენკო, სიღნაღელი მექანიზატორი ზაურ სანდერაშვილი და ახალციხელი მწველავი ემა პეტროსიანი. ესენი არიან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ადამიანები, რომლებსაც წინად ხედათ შრომის სახელგათქმულ ვეტერანებთან, გამოცდილ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებთან, საზოგადო მოღვაწეებთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტთა ყრილობის მუშაობაში.

• საქართველოს კომკავშირი ამაყობს ასეთი ახალგაზრდებით და მათი მაგალითით ზრდის ასეულ ათასობით ქალიშვილსა და ჭაბუკს.

ქალიშვილებისა და ჭაბუკების შრომითი აღზრდის საკითხებს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ჩვენი უპირველესი ამოცანაა მოვამზადოთ ახალგაზრდობა შრომითი საქმიანობისათვის, ჩაეუნერგოთ მას შრომისადმი, როგორც პირველი საარსებო მოთხოვნილებისადმი სიყვარული და პატივისცემა. გასულ წელს ბევრი ახალგაზრდა, რომლებიც წინათ არ მუშაობდნენ, ჩაბმულ იქნა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ორ საკითხს. პირველია ის სინდისეები, რაც გამოწვეულია ცალკეული სამრეწველო საწარმოების, მშენებლობებისა და კოლმეურნეობების ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელის უსულგულო, ბიუროკრატიული დამოკიდებულებით ახალგაზრდა მუშებისა და კოლმეურნეებისადმი. ჩვენ არაერთგზის გაგვიკიცხია მთავართბილისმშენის ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ იგი ახალგაზრდა მუშებს არ უქმნის პირობებს სწავლისათვის, ნაკლებად ზრუნავს მათი საჭიროებისათვის. სამეურნეო ხელმძღვანელები პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ არა მარტო გეგმის შესრულებისათვის, არამედ ასევე პასუხი უნდა აგონ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჰქონდეს შრომის, დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების სათანადო პირობები.

მეორეა ის, რაც უკვე ყველას პირზე ჟღერია და არც ერთი თათბირი, პლენუმი ან კრება ისე არ ჩაიელის, რომ არ აღვნიშნავდეთ იმ ნაკლოვანებებს, რაც არის საშუალო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დაგეგმვის, წარმოებაში მოსწავლეთა სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფის საქმეში. დღემდე საწარმოო პროფილი ბევრ სკოლაში განისაზღვრებოდა ზოგიერთი დირექტორის ნება-სურვილით, ახლა მდებარე ბაზების რაოდენობით და არა რაიონისა თუ ქალაქის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებით.

კომკავშირული ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა დაეხმარონ ღონიფიწვრას ეს ნაკლოვანებანი, განსაზორციელებენ ღონისძიებებს, რათა ბოლო მოეღოს ზოგიერთ ადგილას არსებულ შემაფერხებელურ დამოკიდებულებას უსაქმურებისა და უქნარებისადმი — ადამიანებისადმი, რომლებიც იჩენენ ადგილებულ, ბატონკაცურ დამოკიდებულებას შრომისადმი.

უნდა ვაღიაროთ, რომ კომკავშირელთა ნაწილს არ ყოფნის მებრძოლოობა ეროვნულ-ტური მორალისათვის ბრძოლაში. ჩვენში ჯერ კიდევ არიან ხულიგნები, სპეკულანტები, წვრილფეხა ყალთაბანდები, უსაქმეურები. ჩვენ ხშირად გვერდს ვუვლით ადამიანს, რომელმაც თავისი ობივატელური ბეწდნიერება უპატიოსნო გზით მოიპოვა.

ასეთ მოვლენებს არ შეიძლება შეეუერიგდეთ. განცვიფრებას იწვევს, როცა ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო ხელმძღვანელი ურიგდება ასეთ მოვლენებს, და ითაფრით არ არის გამართლებული, როცა ზოგიერთი მათგანი თავს აირიდებს კომკავშირული რეიდების სამართლიან სიგნალებს, არაფერს არ აკეთებს ღონისძიებათა სწრაფად განხორციელებისათვის.

გზა კომუნიზმისაკენ ბეჯითი ბრძოლისა და შრომის გზაა. ძველი უბრძოლველად არ ტოვებს თავის პოზიციებს. იგი ცდილობს ხელი შეუშალოს ჩვენს წინსვლას. ბურჟუაზიული პროპაგანდა ისწრაფვის დანერგოს თავისი იდეოლოგია, წაართვას ახალგაზრდობას მაღალი იდეალები, დანერგოს ახალგაზრდათა გულში ნაციონალიზმი და შოვინიზმი, შეზღუდოს ახალგაზრდა თაობის სამყაროს რიგითი ობივატელის შეხედულებებით.

კომკავშირული ორგანიზაციები გააძლიერებენ მუშაობას ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხილებისათვის, ყველა მის გამოვლინებასთან ბრძოლისათვის, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ხელი შეუშალონ ახალგაზრდებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლას.

ახალგაზრდობის აღზრდას, ჩვენი აზრით, ხელს უშლის გათიშვა სკოლასა და ოჯახს შორის, რასაც ზოგჯერ აქვს ადგილი. სკოლებში ბავშვებს ელაპარაკებიან კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდ ამოცანებზე, საბჭოთა ადამიანების მორალურ ღირსებებზე, იმაზე, როგორი იქნება მათი მომავალი, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სკოლიდან დაბრუნებული ბავშვები ხვდებიან მეჩიხანობის ატმოსფეროში. არ შეიძლება შეეუერიგდეთ ოჯახის როლის შეუფასებლობას ბავშვთა აღზრდაში. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით უნდა გადაისინჯოს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობა, როგორიც არის განათლებისა, კულტურის სამინისტროები, პროფკავშირები, სასპორტო საზოგადოებანი, და გამოვიმუშაოთ ერთიანი ღონისძიებანი მოსწავლეთა აღზრდის გაუმჯობესებისათვის, „უარი ვთქვათ ჯერ კიდევ არსებულ სისტემაზე, როცა ქმაყოფილდებიან მხოლოდ ცირკულიარების და ბრძანებების შედგენით.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში კომკავშირში შეეიდა 137.000 ქალიშვილი და ჭაბუკი. ახლა საქართველოს კომკავშირის რიგებში 391.268 კაცია. ნება მიბოძეთ ამ მრავალრიცხოვანი ორგანიზაციის, საქართველოს ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით აღვთქვა ყრილობას, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდობა ძალ-ღონეს და ენერგიას არ დაიშურებს პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ყოველთვის იქნებიან რთულ და ძნელ უბნებზე. ჩვენს ახალგაზრდობას სახელოვანი შრომითი საქმიანობისათვის აღფრთოვანების სიყვარული სამშობლოსადმი, რომელიც აშენებს ნათელ მომავალს, ერთგულება პარტიისა და ხალხის საქმისადმი. (ტაში).

ამხ. შ. გ. აბასაშვილის სიტყვა

თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანე

□

ჩვენ, რკინიგზელებს, ყველაზე საამაყოდ, ყველაზე საპატიო საქმედ ის მიგვიჩნია, რომ თავდადებული შრომით ვიღებთ მონაწილეობას სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებული პროგრამის განხორციელებაში. სიამაყის გრძნობით მინდა მოვახსენო ყრილობას, რომ ჩვენი დეპოს მთავარი ინჟინრის ,,ხმ. ვ. მაღალაშვილის წინადადებით, კოლექტივის ენერგიული შუამობით, ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის აქტიური დახმარებით ჩვენ შევქმენით მსოფლიოში პირველი მუდმივი დენის ჰიდროელმავალი.

ახალი ელმავალი დღემდე არსებულ ელმავლებს სიძლვარით არ ჩამოუვარდება, ავითარებს იმავე სიჩქარეს, სქემა მარტივია. შავი ლითონი 10 ტონით და ფერადი ლითონი 4 ტონით ნაკლები სჭირდება, ხარჯავს გაცილებით ნაკლებ ელექტროენერგიას, სამმენებლო ღირებულება დაახლოებით 35 პროცენტით ნაკლები, ხოლო საექსპლოატაციო ხარჯები 60 პროცენტით მცირდება. აღნიშნული ჰიდროელმავლის შექმნა არა მარტო ჩვენი კოლექტივის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა.

მინდა ყრილობას მოვახსენო, რომ დეპოს კოლექტივმა 1963 წლის დავალება ვადაზე ადრე, 19 დეკემბრისათვის შეასრულა და წლის ბოლოდე გეგმის გადამეტებით გადაიტანა 3,5 მილიონ ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, დაზოგა მატარებლის წევაზე 4,1 პროცენტი ელექტროენერგია და სახელმწიფოს მისცა 171 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

დეპოს კოლექტივის ამ წარმატებებში მადლობა ვუძღვნა მათ და თანაც ვთხოვო: მოგვეცით მეტი სასუქები, ჩვენ კი მეტ ჩაის მოვიყვანთ. ჩვენში მწირი, ღარიბი, დამშეული ნიადაგია. თუ ამ ნიადაგში სასუქი არ შეეტანეთ, თითქმის ვერაფერს მივიღებთ. ამიტომ არ შეიძლება ჩაის პლანტაციებს მოვაკლოთ სასუქები.

გვესაჭიროება აგროქიმიური რუკები. ერთადერთი ლაბორატორია, რომელიც მახარაძის საწარმოო სამმართველოს აქვს, 65 კილომეტრენრეობას და 6 საბჭოთა მეურნეობას ვერ გასწვდება. ვაყენებ საკითხს, რომ ჩვენს კოლმეურნეობას გამოეყოს ხელსაწყოები აგროქიმიური ლაბორატორიის მოსაწყობად.

ქიმია მეჩაიეებს მეგობრობას უნდა უწევდეს არა მარტო სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოებით, არამედ მას შეუძლია უზრუნველგვყოს კარგი, გამძლე, წყალგაუმტარი სპეცტანსაცმლით. ეს საკითხი პირველად არ ისმება, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია. ვფიქრობ, სპეციტანსაცმლით მომარაგების საქმე შეიძლება მოგვარდეს და კიდევაც უნდა მოგვარდეს სწრაფად.

ჩვენს რაიონში დაიბადა კარგი ინიციატივა, რაც ითვალისწინებს ჩაის მეურნეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონის მკვეთრ ამაღლებას. ამჟამად უკვე ბევრი სახეობის მანქანა გვაქვს, მოქალაქეობრივ უფლებას იხვეჭენ ჩაის ფოთლის სკურეფი მანქანებიც.

ეს ყველას გვახარებს, მაგრამ ჩვენს ნიჭიერ, სახელოვან კონსტრუქტორებს ვთხოვ: დაგვიჩქარონ ამ მანქანების გადაკეთება ისე, რომ გამოვიყენოთ მთაგორიან პირობებშიც.

პარტია ჩვენგან — მეჩაიეებისაგან ახალ საგმირო საქმეებს ელის. მეც პირობას ვაძლევ შმობლიურ კომუნისტურ პარტიას, რომ ჩვენი შრომის მაღალ შეფასებას ახალი, უფრო დიდი გამარჯვებით ვუპასუხებთ. (ტაში).

ამხ. ზ. ნ. ბოჩკარიოვის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარე

□

ამხანაგებო! ყრილობის მუშაობის შინაარსი, დელეგატთა გამოსვლები, საქმიანი და პარტიული ზრუნვის ის ატმოსფერო, რომელშიც ყრილობა მიმდინარეობს, ყველას დიდ კმაყოფილებას გვგვრის.

ყოველი ჩვენგანი დიდი ყურადღებით ისმენდა დელეგატთა გამოსვლებს. ყველა დელეგატმა გაგვიზიარა თავისი ფიქრები, აზრები, გამოთქვა სურვილები. და ჩვენ მათთან ერთად ვფიქრობდით იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთოთ კიდევ ჩვენს პარტიულ სახლში, რა ძალებთა და რა ვადებში, რომ ეს შეესაბამებოდეს ცხოვრების მაღალ მოთხოვნებს, იმ დიდ მისიას, რომელსაც ჩვენი ლენინური პარტია ასრულებს. მისი ხელმძღვანელებით ჩვენი ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ ლენინური კურსით. მშრომელები თავიანთი ყოველდღიური საქმეებით კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე ცხადყოფენ უსაზღვრო ერთგულებას კომუნისტთა სახელოვანი პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელსაც მეთაურობს ერთგული ლენინელი, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

არასოდეს ისე სწრაფად არ ვითარდებოდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, როგორც განვლილი ათი წლის მანძილზე. ამაზე კარგად და ხატოვნად თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე: „ეს, როგორც კოსმოსში გაფრენა, გეფრთოვანებს“.

ჩვენი წარმატებანი ახარებენ მეგობრებს. კომუნიზმის მტრებს კი მოსვენებას ან აძლევენ. ამის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გამოაქვეყნა მოხსენება სსრ კავშირის ეკონომიკის შესახებ, რომელშიც, იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი თავხედობით, ამტკიცებენ, თითქოს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდის ტემპი უფრო დაბალი იყოს, ვიდრე შეერთებული შტატების ზრდის ტემპი. მაგრამ, როგორც იტყვიან, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. ნაყალბეკი ფდღეური გამოდგა.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში ნათქვამია, რომ უკანასკნელ 10 წელიწადში მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სსრ კავშირში გადიდდა 128 პროცენტით, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — მხოლოდ 15 პროცენტით და თუ 1953 წელს სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქცია შეადგენდა ამერიკის შეერთებული შტატების პროდუქციის 33 პროცენტს, შარშან უკვე 65 პროცენტი იყო.

მინდა დიდი კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საანგარიშო პერიოდში თავიანთი მნიშვნელოვანი და ღირსეული წვლილი შეიტანეს კომუნიზმისათვის საერთოსახალხო ბრძოლაში.

მომხსენებელმა, ყრილობის დელეგატებმა ილაპარაკეს რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე, და უნდა ითქვას, რომ ჩვენ წარმოგვიდგა შემოქმედებითი აღმშენებლობითი შრომის ცოცხალი სურათი, დიადი მშენებლობის სურათი, რომლის სახელიც აყვავებული საბჭოთა საქართველოა. ჩვენ დავინახეთ დაუცხრომელი მშრომელნი, ბევრი ეროვნების წარმომადგენელნი, ერთსულოვან კოლექტივად შეკავშირებულნი, რომელთა სულიერი სილამაზე, ენერგია, ნიჭი და შრომისმოყვარეობა არ შეიძლება არ გვახარებდეს, ჩვენს აღტაცებას არ იწვევდეს.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ, თუმცა მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობა წარმატებით ასრულებს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას, მაგრამ საწარმოთა 15-20 პროცენტი ყოველწლიურად ვერ ასრულებს სახელმწიფო დავალებას. ამასთანავე ისე ხდება კარგ წლებშიც, როცა ამინდი ხელს გვიწყობს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა დრო უფრო აქტიურად მოვკიდოთ ხელი ამ „ავადმყოფობის“ მკურნალობას. პრაქტიკა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ეს „სნეულება“ განიკურნება. მოსკოვში, ლენინგრადში, ესტონეთში, თათრეთში თითქმის ყველა საწარმო ასრულებს გეგმას. მაგრამ იქაც ხომ დიდხანს იყო ისეთი მდგომარეობა, როგორიც ჩვენშია. ამ ქალაქებისა და რესპუბლიკების პარტიულმა ორგანიზაციებმა შეძლეს იემაღლებინათ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ხელმძღვანელი საქმისადმი, ასწავლეს მათ სიძნელეთა აღმოფხვრა, განუწყვეტლივ მუშაობა ადამიანებთან, ზრუნვა ადამიანთა საჭიროებებისათვის. და გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ნაკლები შესაძლებლობანი როდი აქვს, ვიდრე რომელიმე დასახელებულ ორგანიზაციას, მას ძალუძს შეასრულოს უფრო რთული ამოცანები. არ იყოს არც ერთი საწარმო, რომელიც ვერ ასრულებდეს სახელმწიფო გეგმას — ასეთია ამოცანა, და იგი შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას.

დიდი რეზერვებია არა მარტო ჩამორჩენილ საწარმოებში, არამედ კარგად მომუშავე საწარმოებშიც. ავიღოთ, მაგალითად, ოუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რომლის კოლექტივმა გადაწყვიტა მნიშვნელოვანი კაპიტალური ხარჯების გაწევასად უკვე წელს გაადიდოს მილებისა და ფოლადის გამოშვება. და ეს ერთეული მაგალითი როდია.

დიდი რეზერვია წარმოების სპეციალიზაცია. ეკონომიკის გაკვეთარების თანამედროვე ხასიათი ითვალისწინებს შრომის საზოგადოებრივი განაწილების შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას, წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებას.

ეს ეკონომიური განვითარების კანონზომიერება, ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების კონცენტრაციის შედეგად, რაც საშუალებას იძლევა უმაღლეს დონემდე აიყვანონ სპეციალიზაცია, მონოპოლისტები უზარმაზარ მოგებას იღებენ. როგორც ცნობილია, ისინი ამას არ სჯერდებიან და უფრო შორს მიდიან, ახორციელებენ შრომის საერთაშორისო განაწილებას, რასაც იყენებენ ეკონომიური განვითარების მხრივ ჩამორჩენილ ხალხთა ძარცვის იარაღად.

და პირიქით. სოციალისტურ ბანაკში შრომის საერთაშორისო განაწილება მთელი თავისი შინაარსით გამოხატავს ნამდვილი მეგობრობის, თანასწორუფლებიანობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას.

ჯერ კიდევ დიდმა ლენინმა გვიანდერძა, რომ გამოვიყენოთ წარმოების ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია სოციალიზმის ინტერესებისათვის.

სოციალიზმის ბანაკის კომუნისტური და მუშათა პარტიები, ახსოვთ რა ეს ლენინური მითითებანი, რომლებიც მსოფლიო მეურნეობის ეკონომიური განვითარების კანონზომიერებათა ღრმა მარქსისტული ანალიზია, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში წყვეტენ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერაციის ბევრ საკითხს, თავიანთ შეცადინეობას ახმარენ სახალხო მეურნეობის განვითარებას, ამასთანავე ითვალისწინებენ თვითეული ქვეყნის თავისებურებებს.

შრომის განაწილება სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გზით ისეთ დიდ ეკონომიურ რაიონში, როგორიც ამიერკავკასიაა, ხელს უწყობს იმას, რომ ნაკლები დანახარჯებით მოკლე ვადაში მივიღოთ მაქსიმალური ეკონომიური ეფექტი.

მოვიყვან მაგალითებს. თუჯის სხმას აწარმოებს საქართველოში 58 საწარმო.

სხმულის აღება თვითეულ კვადრატულ მეტრ ფართობზე ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში შეადგენს ორ ტონას, ხოლო თბილისის ელმავალსამშენებლო ბიც მატარებლების დროული შედგენით და მათი მდგრადობის უნარიანი რეგულირებით ხელს უწყობენ ამ ტვირთის დროზე მიწოდებას მომხმარებლებისათვის.

თბილისის საელმავლო დეპო მომსახურებას უწევს ამიერკავკასიის რკინიგზის თითქმის მთელ ელექტროფიცირებულ უბანს სოჭიდან ლენინაკანამდე და კიროვაბადამდე თავისი შტოებით, რაც 1000 კილომეტრ მანძილს აღემატება. ჩვენ გვესმის ეს დიდი პასუხისმგებლობა, და კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლოკომოტივები უწუნოდ და უავარიოდ მუშაობენ.

დეპომ ითვისა კიდევ ერთი ახალი სახეობის ლოკომოტივი-თბომავალი, რომელმაც კახეთის უბანზე შეცვალა ორთქლმავლები, რითაც დაჩქარდა მატარებლების შედგენა და გაშვება. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს, ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, არიან ამხანაგები, რომლებიც უდიერად ეპყრობიან ახალ ტექნიკას და ვერ მიჰყვებიან კოლექტივს მხარდამხარ. ჩვენ ასეთებს ყოველდღიურად ვამხილებთ და ვეიცხავთ. განა გაკიცხვის ღირსი არ არიან მემანქანეები ამხანაგები ტოლომაშვილი, ტაბატაძე, დემეტრაშვილი, გარაყანიძე, რომლებმაც მოადუნეს სიფხიზლე მუშაობის დროს, ყურადღება არ მიაქციეს წვიფილ ამკრძალავ ნიშანსვეტებს და განაგრძეს სვლა, რაც სახელმწიფოს წინაშე უმძიმესი დანაშაულია?

ვფიქრობთ, ასეთი სამარცხვინო შემთხვევა მომავალში აღარ იქნება.

აქვე მინდა დავძინო, რომ დეპოს ნორმალურ მუშაობაში ჯერ კიდევ არის ხელშემშლელი მიზეზები, რისთვისაც გვესაჭიროება დახმარება. როგორც აღვნიშნე, დეპოს მუშაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამის შესაბამისად გათვალისწინებული ია დეპოს გაფართოება, მაგრამ საშუშაოები ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ძალზე შეფერხებულია ლოკომოტივების ბრუნვა თბილისი-აქსტაფის უბანზე. ანალოგიური მდგომარეობაა სადგურ თბილისიდან დეპოში შემოსვლისას ან დეპოდან სადგურზე გასვლის დროს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ნავთლუღის მე-2 სადგურიდან ნავთლუღის 1-ლ სადგურამდე არსებული ერთლიანდგანი გადასარბენის გამტარუნარიანობა ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

ჩვენს დეპოში ფართოდ გაშლილია მოძრაობა კომუნისტური შრომის წოდების მოპოვებისათვის. ღღეისათვის ამ საპატიო სახელს ატარებს 5 საამქრო და ბრიგადა, სულ 650 კაცის შემადგენლობით.

ჩვენი ამოცანაა მომდინარე 1964 წელს — შვიდწლედის მეექვსე წელს მივაღწიოთ სანუკვარ მიზნას — მოვიპოვოთ კომუნისტური შრომის საწარმოს წოდება, რისთვისაც ყველა პირობა გვაქვს. ნება მიბოძეთ აღვთქვა ყრილობას, რომ თბილისის ძირითადი საელოკომოტივო დეპოს კოლექტივი არ დაზოგავს ძალსა და ენერგიას იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებსაც ჩვენი ყრილობა მიიღებს. ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნისტური საზოგადოების აშენების საყოველთაო საქმეში. (ტაში).

ამხ. ზ. ნ. ჩხაიძის სიტყვა

მახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე

□

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა, რომელიც ჯამებს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისა და ყველა შრომელის მიერ გაწეულ დიდ მუშაობას, ახალ საბ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო

ამხ. დ. გ. შარაშიძის სიტყვა

გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მმართველი

□

ამხანაგებო! განვლილი წელი გარდაბნის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის მეურნეობებმა კარგი მიჩვენებლებით დაამთავრეს. სახელმწიფოსათვის მარცვლის მოყიდვის გეგმა შესრულდა 126 პროცენტით, ხორცისა 109,1 პროცენტით, რძისა — 100,6 პროცენტით, კვერცხისა — 116,6 პროცენტით, მატყლისა — 123,9 პროცენტით, ბოსტნეულისა — 101,5 პროცენტით.

საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში გარდაბნის რაიონში ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაზე. ამას მოწმობენ ფაქტები. 1960 წელს, საბჭოთა მეურნეობების შექმნამდე, რაიონში იყო 14.659 სული მსხვილეფეხა რქიანი პირუტყვი, ახლა კი ტრესტის მეურნეობებში 22.343 სული პირუტყვია. ამავე პერიოდში ღორის სულადობა გაიზარდა 3.722-ით, ცხვრისა — 10.668-ით, ხოლო ფრინველის რაოდენობა — თითქმის ერთიოდად.

საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს ჯერ უფრო პასუხსაგები ამოცანები აქვთ დასახული. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად მათ ვალდებულება იკისრეს, რომ მიმდინარე წელს სახელმწიფოს ჩაბარებენ 10.500 ტონა მარცვლეულს, 3.830 ტონა ხორცს, 12.165 ტონა რძეს, 433 ტონა მატყლს, 18 ათას ტონა ბოსტნეულს, 22.760 ათას ცალ კვერცხს.

შარშან განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწია თელეთის საბჭოთა მეურნეობამ. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65.100 ფუთი მარცვლისა სახელმწიფოს ჩაბარა 204.600 ფუთი. აქ 1.745 ჰექტარ ნთესლში საშუალოდ ჰექტარზე მოყვანილია 23 ცენტნერი მარცვალი. ასეთი გამარჯვება თელეთელებმა მოიპოვეს იმის მეოხებით, რომ გაბედულად დანერგეს მეცხენეობის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება. მეურნეობაში ფართოდ იყენებდნენ მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს. მარცვლეულის ნათესების ჰერბიციდებით დამუშავების შედეგად გადიდდა მოსავლიანობა, შემცირდა შრომის დანახარჯები. მარტო ამ გზით საბჭოთა მეურნეობამ 13 ათასი მანეთი დაზოგა.

ჰერბიციდები ეფექტიანად გამოიყენეს აგრეთვე ნორიოს საბჭოთა მეურნეობაში, რომელმაც სახელმწიფოს მიჰყიდა 550 ტონა მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 212 ტონისა.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციამ ამ მეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულება შეამცირა. ნორიოს საბჭოთა მეურნეობაში 1962 წელს ცენტნერი მარცვლის თვითღირებულება შეადგენდა 12 მანეთსა და 40 კაპიკს, შარშან კი იგი შემცირდა 5 მანეთ და 5 კაპიკამდე. თელეთის საბჭოთა მეურნეობაში ცენტნერი საგაზაფხულო კულტურების თვითღირებულება დაუქვეს 1962 წლის 48 მანეთი და 79 კაპიკიდან შარშან შემცირდა 4 მანეთი და 67 კაპიკამდე. ამავე საბჭოთა მეურნეობაში ცენტნერი სასილოსე მასის თვითღირებულება ერთ წელიწადში 1 მანეთი და 89 კაპიკიდან 35 კაპიკამდე შემცირდა.

დასახულია ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის, ყველა კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების რაციონალური გამოყენების გზით.

საბჭოთა მეურნეობების მუშებმა მხუტრალედ დაუქიქეს მხარი სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა თაოსნობას, რომლებმაც წინადადება წამოაყენეს, რომ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მასობრივად შეისწავლონ აგროქიმიის, მცენარეთა დაცვისა და შეცხოველების ქიმიზაციის საფუძვლები.

სოფლის მეურნეობაში ქიმიის ფართოდ დასანერგავად გასულ წელს სპეციალიზებულ ტრესტში შეიქმნა ქიმიური ლაბორატორია. იგი სწავლობს ნიადაგების ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, ადგენს კარტოგრამებს. მიმდინარე წელს ლაბორატორიის მუშაკები შეადგენენ 17 ათასი ჰექტარი ნიადაგების კარტოგრამებს.

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას. ამ ბოლო ხნის მანძილზე მეცხოველეობის ფერმებში მნიშვნელოვნად გაუჯობესდა პირუტყვის მოვლა, გაიზარდა მისი პროდუქტიულობა. გასულ წელს 1962 წელთან შედარებით წველადობა თვითეულ ძროხაზე 33 კილოგრამით გაიზარდა. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დამზადებაში განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ნორიოს, მარტყოფის, ახალი სამგორის, გარდაბნის, რუსთაველისა და სხვა საბჭოთა მეურნეობებმა.

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მშრომელთა სამანი ამოცანაა მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყონ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა ბოსტნეულით. ამ ამოცანის ისინი შეასრულებენ. შარშან, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 14.915 ტონა ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.690 ტონისა. გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის ბაღჩეული კულტურების ჩაბარების გეგმა. ბოსტნეულის წარმოებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კრწანისის, სართიჭალისა და რუსთაველის საბჭოთა მეურნეობები.

მარტო კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა 2.362 ტონა ბოსტნეული — 52 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. შესანიშნავ შედეგებს მიაღწია ბრიგადამ, რომელსაც ი. ისაევი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 120 ცენტნერი ბოსტნეული მიიღო.

შარშან ბოსტნეულის რეალიზაციის შედეგად ტრესტის მეურნეობებმა მიიღეს 300 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი.

დიდი წარმატებებია მიღწეული საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობისათვის ბრძოლაში. გასულ წელს წინა წელთან შედარებით საბჭოთა მეურნეობების ზარალი 3 მილიონი მანეთით შემცირდა. დიდი მოგებით დაამთავრეს 1963 წელი ვარკეთილის, ნორიოს, კრწანისის, თელეთის საბჭოთა მეურნეობებმა, აგრეთვე მეფრინველეობის ფაბრიკამ. წელს დიდი მუშაობა იქნება გაწეული რენტაბელობისპირველ. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს შეასრულებს სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია. შენდება სათბუნები, რომლებშიც ბოსტნეულს მოიყვანენ ჰიდროპონური მეთოდით. ქიმიზაცია მებოსტნეობაში დაგვეხმარება შეგვმციროთ პროდუქციის თვითღირებულება და მიღებით უხვი მოსავალი. სულ უფრო მტკიცედ შედის ბოსტნეობაში მექანიზაცია. გარდაბნისა და რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია ბოსტნეული კულტურების თესვისა და მოვლა-მოყვანის კომპლექსური ბრიგადები.

სამართლიანია მომხმარებელთა პრეტენზიები, რომ ისინი საბჭოთა მეურნეობებისაგან იღებენ არასტანდარტულ პროდუქციას. წელს გათვალისწინებულია მოეწყოს სპეციალური კურსები, რომლებზეც მებოსტნეები შეისწავლიან რეალიზაციისათვის ბოსტნეულის მომზადების, შეფუთვისა და გადაზიდვის მოწინავე მეთოდებს.

საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წელს 1963 წელთან შედარებით 20 ათასი ტონით გაადიდონ მარცვლის წარმოება, ბოსტნეულისა — 6 ათასი ტონით, მისცეს სამშობლოს მეტი მეცხოველეობის პროდუქტები. ამ ვალდებულებათა შესასრულებლად უკვე გაწეულია გარკვეული მუშაობა — 17.200 ჰექტარზე დათესილია საშემოდგომო ხორბალი, უმეტესად უხვმოსავლიანი „უფხო-1“, წარმოებს მზადება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის — არემონტებენ ტრაქტორებს, ქმნიან ორგანული და მინერალური სასუქების მარაგს.

ნება მიბოძეთ აღვუთქვა ყრილობას, რომ გარდაბნის საბჭოთა მეურნეობებს სპეციალიზებული ტრესტის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გახანგრძლივლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი. (ტაში).

ამხ. ა. ტ. სტუჩენკოს სიტყვა

ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

□

ჯოთა რუსთაველის კლასიკური პოემა „ვეფხისტყაოსანში“ არის ასეთი ადგილი:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი
ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის,
სიყვარული — ბზად და ხიდად“.

სწორედ ასეთ გულითად და ურღვევ მეგობრობას იცავენ საქართველოს მშრომელები — ქართველები, აფხაზები, ოსები ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებთან, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან.

ასეთი მეგობრობა და ერთობა ჩვენში, ამერკავკასიაში, და კერძოდ საქართველოში, სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება პარტიული, საბჭოთა ხელმძღვანელობისა და საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის განსაკუთრებით გულისხმიერი დამოკიდებულებით ჩვენდამი, ამერკავკასიის ოლქის მეომრებისადმი.

აქ, ყრილობაზე, ჩვენ მოვისმინეთ გულთბილი სიტყვები, რომლებთაც გალინ პავლეს-ძე მქადანაძემ მიმართა თავის მოხსენებაში ოლქის ჯარებს, და გვესმის, რომ ეს სიტყვები საქართველოს რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციისა და მთელი ხალხის სიტყვებია.

ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს რუსეთელების საქმეებს, და, როცა საჭიროა, ვცდილობთ შეძლებისდაგვარად დახმარება გავუწიოთ მას.

მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ როცა ჩვენც გვესაჭიროება რაიმე დახმარება, ასევე ეგრძნობთ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის და ადგილზე სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების გულწრფელ სურვილს გაგვიწიონ დახმარება. ამაში გვარწმუნებს თუნდაც ერთი მაგალითი მრავალთაგან.

გასული წლის სექტემბრის ბოლოს საჭირო იყო სასწრაფოდ გადაგვეზიდა რკინიგზიდან ზოგიერთი ტვირთი ერთი ადგილიდან მეორეში. ასეთი ამოცანა დასახა ამერკავკასიის რკინიგზის საქართველოს განყოფილების წინაშე. ამოცანა ძნელი იყო და შეიძლებოდა სხვადასხვა ფორმალურ გვანგარიშებებსა და ბორმებზე დაყრდნობით მის შესასრულებლად დღე-ღამე ან მეტიც მოენდომებინათ, და ყველაფერი სწორად იქნებოდა — ვერაფერს ვერ იტყოდი. მაგრამ რკინიგზელი ამხანაგები სხვაგვარად მოიქცნენ. მათ თავიანთი არმიელი ძმებისათვის გაეკეთეს მეტი, ვიდრე შეეძლო, და ტვირთი გადაზიდეს 8 საათში.

განა ეს არ არის ხალხის ერთობა არმიასთან? განა მეგობრის გული არ ზარავდა, რომ ამერკავკასიელ მეომრებს დროზე შეესრულებინათ თავიანთი ამოცანა? იი სწორედ ჩვენი მეგობრობა და ჩვენი ძალა!

შეგვხვდის და გაიგოს ეს ყველამ, ვინც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ლაშქრობაზე ოცნებობს. გაიგოს, თუ ამის უნარი აქვთ, რა არის საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების ძალა.

ნება მიბოძეთ დიდი მადლობა გადავუხადო ამხანაგებს — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, პირადად ვასილ პავლეს-ძეს, მინისტრთა საბჭოს და პირადად გივი დმიტრის-ძეს, გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძეს, საბჭოთა საქართველოს ყველა კომუნისტსა და ყველა შრომელს მათი დამოკიდებულებისათვის ჩვენდამი და ნება მიბოძეთ ოლქის სამხედრო საბჭოსა და ჯარების სახელით გადმოგცეთ უგულითადესი სალამი, გამოვთქვა პატივისცემა და მადლობა.

ყოველივე თქმულის შემდეგ საჭირო არ არის ვილაპარაკო იმაზე, თუ რაოდენ ენიჩარდა და რა შესანიშნავი კავშირი დამყარდა ოლქის ჯარებსა და ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და მოსახლეობას შორის. ვგონებ ყველაფერი ნათელია. საჭიროა მხოლოდ კიდევ უფრო გავაფართოოთ, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ეს კავშირი.

ნება მიბოძეთ აგრეთვე თქვენი ყურადღება არ შევაჩერო თავდაცვითი მუშაობის საკითხებზე. მარტო ვთხოვ ამ დამსწრე ამხანაგებს (ვისაც ეს ეხება) გაიუმჯობესონ სამხედრო-პატრიოტული აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობის შორის.

ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება შევაჩერო სხვა საკითხზე — მოკლედ დავახასიათო ის სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, რომელიც უკანასკნელ ხანს შეიქმნა ჩვენს სამხედრო საზღვარზე.

ყველასათვის ცნობილია ნატოსა და სენტოს აგრესიული სამხედრო ბლოკები.

ნატოს შეიარაღებული ძალების პაპირსპირ უშუალოდ დგანან მხოლოდ ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები, თუ არ ჩავთვლით პატარა უბანს, რომლითაც სსრ კავშირი ესაზღვრება ნატოს ბლოკის მონაწილეს — ნორვეგიას ჩრდილოეთში. ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები უშუალოდ პირისპირ დგანან აგრეთვე სენტოს ქვეყნების ჯარებთან. ამრიგად, ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარები ერთადერთი არიან საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში, რომლებიც ესოდენ ვრცელ მანძილზე (1.532 კილომეტრზე, თუ არ ჩავთვლით საზღვაო საზღვრებს) პირისპირ უდგანან ორივე აგრესიული ბლოკის—ნატოსა და სენტოს შეიარაღებულ ძალებს.

როგორ იქცევიან ამ აგრესიული ბლოკების ჯარები, რომელიც განლაგებული არიან ჩვენი სამხრეთელი მეზობლების ტერიტორიაზე? რას წარმოადგენენ ისინი და რა საფრთხეს უქმნიან საბჭოთა ამერკავკასიის რესპუბლიკებს?

ეს განსაზღვრება იმპერიალისტებისათვის ახლო აღმოსავლეთის რაიონების როლითა და მნიშვნელობით. როგორია ეს როლი? ჩვენ არ განვიხილავთ ამას ეკონომიკის თვალსაზრისით. მაგრამ თუ როგორია იგი სამხედრო თვალსაზრისით, ეს შეიძლება განვსაჯოთ შემდეგის მიხედვით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემულ წიგნში „ახლო აღმოსავლეთის დაცვა“ აღნიშნულია, რომ ყოველ მომავალ ომში დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის საომარ მოქმედებას ახლო აღმოსავლეთის ასპარეზზე შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ომის მსვლელობაზე, ხოლო გარკვეულ პირობებში გადამწყვეტი როლი შეასრულოს მთელ ომში.

ამერიკის სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებს არაერთგზის განუცხადებიათ აშკარად, რომ ახლო აღმოსავლეთის ბაზებიდან შეიძლება განხორციელდეს დარტყმები სსრ კავშირის ბევრ დიდმნიშვნელოვან პუნქტზე.

ამ მიზნით სამხრეთელი მეზობლების ტერიტორიები, განსაკუთრებით თურქეთის ტერიტორია, გადაქცეულია საბჭედრო პლაცდარმებად. პრესაში გამოქვეყნებული მონაცემებით თურქეთში დღეს არის 100-ზე მეტი აეროდრომი, ირანში — 80-მდე. სავსებით გასაგებია, რომ ამ აეროდრომებს უმთავრესად ამზადებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის.

შენდება და წარმოებს რეკონსტრუქცია საბჭედრო-საზღვაო ნავსადგურებისა და ბაზებისა, რომელთა ნაწილი განლაგებულია შავი ზღვის ნაპირზე, საბჭოთა საქართველოს მახლობლად.

ნატოსა და სენტოს ჯარების შეიარაღებული ძალები, რომლებიც განლაგებულია თურქეთისა და ირანის ტერიტორიებზე, აღჭურვილი არიან ამერიკული აირაღი. განსაკუთრებით ინტენსიურად აიარაღებენ ამერიკის საომარი ტექნიკით თურქეთის არმიას.

ნატოსა და სენტოს შეიარაღებულ ძალებს, განსაკუთრებით თურქეთში, სისტემატურად წვრთნიან, რასაც ნატოსა და სენტოს სარდლობა ხელმძღვანელობს.

ამჟამად თურქები გამალებით ემზადებიან აგრეთვე კუნძულ კვიპროსზე ინტერვენციისათვის. უკვე თვამოყრილი არიან ჯარები და ელოდებიან სიგნალს.

ჯარების საომარი მზადყოფნის გაძლიერებასთან ერთად ეწევიან მათს ინტენსიურ იდეოლოგიურ წვრთნას, რასაც საფუძვლად უდევს ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური და საერთოდ ცილისმწამებლური პროპაგანდა.

ნიმუშად სიცრუისა იმ მიზნით, რომ შეამცირონ საბჭოთა ჯარების შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა წარსულ ომში, არის თურქეთში გამოცემული უახლესი ისტორიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისათვის. იმ ჯარში, რომელიც მიძღვნილია 1941-45 წლების საომარი ომის ისტორიისადმი, ნათქვამია, რომ გერმანელებმა რუსებზე ვერ გაიმარჯვეს ძლიერი ყინვების გამო, რამაც ჰიტლერელთა არმია აიძულა მოსკოვიდან უკან დაეხიაო. გარდა ამისა, ნათქვამია სახელმძღვანელოში, ბოლშევიკებმა გამოიყენეს ომში „შუა აზიის თურქები, რომლებმაც აიძულეს გერმანელები უკან დაეხიათ თავიანთი საზღვრებისაკენ“.

როგორც ხედავთ, ფანტაზია არ ჰყოფნათო, ვერ იტყვი!

ამერიკის ჯარების განლაგება თურქეთსა და ირანში, ხმელთაშუა ზღვაში ამერიკის მე-6 ფლოტის ყოფნა, რომელსაც თავის შემადგენლობაში აქვს „პოლარისის“ რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები; ავიაბაზიები, ატომური იარაღით აღჭურვილი თვითმფრინავებთან; ატომური ბომბებით აღჭურვილი ამერიკის B-52 ბომბდამშენების მორიგეობა, ახლო აღმოსავლეთში ინგლისის ფლოტისა და ინგლის-ამერიკის ატომური ავიაციის ყოფნა, ჩვენს საზღვრებთან უამრავი დიდი მანევრების მოწყობა საბჭოთა კავშირის სამხედრო საზღვრებთან სამხედრო კონფლიქტების წარმოშობის მუდმივ საფრთხეს ქმნის.

ყველაფერი ეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს აკისრებს უდიდეს პასუხისმგებლობას ამიერკავკასიის დასაცავად -მზადყოფნისათვის. ჩვენ გვესმის ეს, ვცდილობთ უმაღლეს დონეზე ვიყოთ ყველა საბრძოლო მზადყოფნა და გავამართოთ ხალხის, პარტიისა და მთავრობის ნდობა.

ვიჯამებთ რა 1963 წლის შედეგებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიღწეულია ახალი წარმატებანი ჯარების პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. განმტკიცდა დისციპლინა და წესრიგი. მეთაურები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები უნარიანად აწყობენ საქმეს. რათა უზრუნველყონ, რომ შეიარაღებულმა ძალებმა შეასრულონ მათ წინაშე დასახული ყველა ამოცანა, თვითეულმა მეომარმა თავიდან დოს თავისი მხედრული ვალი სამშობლოს წინაშე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ზრუნავენ, რომ ჩვენ განიხილა გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამართველოში ხელშეწყობი ჯგუფებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის საკითხი და მიიღო ერთული გადაწყვეტილება. პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ამ გადაწყვეტილების მოთხოვნები.

განვლილ პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები მუშაობდნენ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის დარიქტივების ფინანსური შემოწმების სისტემატური შემოწმების ორგანიზაციაში, კომუნისტური შენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებაში, სოციალისტური ეკონომიკის ყოველმხრივი აღმავლობისათვის ბრძოლაში, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვაში.

1963 წლის 1 აპრილისათვის დამთავრდა მუშაობა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რესპუბლიკური, საოლქო და ადგილობრივი კომიტეტების შექმნისა და კადრების მათი დაკომპლექტებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა დაკომპლექტეს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები ძველი სპეციალისტებით, ეკონომისტებით, ინჟინერ-ტექნიკოსებით, ფარეშებით, ბუღალტრებით, ეკონომისტებით, ფინანსისტებით, ბანკირებით, ბაღჩეულ კულტურებისა და ბოსტნეულის ექსპერტებით, ვეტერინარებით, ინჟინერებით, ტექნიკოსებით, ბიბლიოთეკარებით, ბიბლიოგრაფებით, ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების redaktorebi-ით, ენათმეცნიერებით, ისტორიკოსებით, ეკონომისტებით, ფილოსოფოსებით, ეკონომიკურ-ფილოსოფიურ ინსტიტუტებიდან, ეკონომიკურ ინსტიტუტებიდან, ეკონომიკურ-ფილოსოფი

დიდი შეცდომა „მცირე შენიშვნაში“

კონსტანტინე გამსახურდიას ერთი მცდარი წერილის გამო

უწინარეს ყოვლისა, ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ რიგით მასწავლებელი ვკადნიერდები და მწერალ-აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას ვეკამათები.

მე არა ვარ არც მწერალი, არც მეცნიერი, არც ჟროფესიონალური კრიტიკოსი და ლიტერატორი, მაგრამ კ. გამსახურდიას წერილში დაშვებული მრავალი შეცდომისა და შეუსაბამობის შემჩნევას არავითარი სპეციალური განათლება არ სჭირდება.

ცნობილი მწერლის ეს წერილი აღაშფოთებს ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი ქვეყნის კულტურა, ლიტერატურა და ისტორიული წარსული. კ. გამსახურდიას ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისადმი, რაც ადრეც იყო ცნობილი, კულმინაციას სწორედ გაზეთ „თბილისის“ 1964 წლის 25 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მიაღწია.

როგორობით შევეხოთ კ. გამსახურდიას დებულებებს და ვნახოთ, რამდენად ლოგიკური არიან ისინი და რამდენად უძლებენ კრიტიკას.

კ. გამსახურდია წერს: „ოდითგანვე მე ზუსტად მკონდა დათქმული: არაფერი ისე არ გამაკვირვებინა, რომ მერმისში სხვამ უკეთ შეესძლოს. მომავალმა თაობებმა განსაჯონ თუ რამდენად მოვპასუხე ეს“.

ჯერ ერთი, რა საკადრისია შთამომავლობასთან ასეთი ჯიბრი და მისთვის ნიშნის მოგება, ან რა საჭიროა ქართული სიბრძნის — „ის ურჩეულია მაშასა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ — გაბათილება!?.. და, მეორეც, კ. გამსახურდია არ ელოდება მომავალი თაობების მსჯავრსა და საკუთარი მოღვაწეობის მსჯელად თვითონვე გვიკანონებს: „...თქვენ რას იტყოდით, რომ გავასწარით ჩვენ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობისა და ქართული ენის მიღწევებს?“ — ეკითხება გამსახურდია ჩვენს სახელგანოქმული ასტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს. „ჩვენში“ აქ, უნდა ვივარაუდოთ, იგულისხმება არა გამსახურდიას თანამედროვე ქართველი მწერლები და მათთან ერთად გამსახურდია, არამედ მხოლოდ გამსახურდია. რადგან ცნობილია გამსახურდიას ნეგატიური დამოკიდებულება XX საუკუნის ქართველი რომანისტებისა და პროზაიკოსებისადმი (ეს მას არაერთხელ განუცხადებია საჯაროდ).

შემდეგ კ. გამსახურდია სვამს მე-19 საუკუნის კლასიკოსების ენის, და არა მარტო ენის, „შეკითხვის“ საკითხს:

უპრეცედენტო მოთხოვნაა!

არც ერთ ქვეყანასა და არც ერთ პერიოდში არავის არ მოუთხოვია ძველი მწერლების ტექსტის ასეთი „დამუშავება“. სულ სხვა ტექსტის ფილოლოგიური დადგენა და დახვეწა, ვარიანტების შეკერება და აუტენტური სიწმინდის აღდგენა. (ჩვენი აზრით, თუ ენის მხრივ მწერლის შემოქმედების „შეკითხვა-შესწორებაზე“ მიდგება საქმე, ეს, უპირველესად ყოვლისა, შეიძლება კ. გამსახურდიას ნაწარმოებებს შეეხოს. მაგრამ ამ წერილის საგანს კ. გამსახურდიას ენის განხილვა არ შეადგენს).

ყოველი ენა ვითარდება. ამდენად დღესდღეობით მოძველებულია მე-19 საუკუნის რომელიც განვავთ ეროვნების მწერლის ენა. დღეს, მაგალითად, თანამედროვე გერმანელმა მე-19 საუკუნის მწერლის გოტფრიდ კელერის პერსონაჟების ენით რომ ილაპარაკოს, ეს, უეჭველად, კომიკურ ეფექტს მოახდენს. ამ შემთხვევაში მე-19 საუკუნის ქართველი მწერალი არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენენ. შესაძლოა თანამედროვე ევროპელი მკითხველის ესთეტიკურ გემოვნებას ყველა პუნქტსა და ყველა ნიუანსში ვერ აკმაყოფილებდეს მე-19 საუკუნის ყველა ევროპელი მწერალი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უფლებელყოთ ისტორიული თვალსაზრისი და გასული საუკუნის შემოქმედს ის კრიტერიუმი მივუყენოთ, რასაც თანამედროვე მწერლის შეფასებასას მოვიმარჯვებთ ხოლმე.

ამის გარდა, რატომ ივიწყებს პატივცემული კ. გამსახურდია, რომ ის მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების მხრებზე დგას?! თუ... მწერალს მიაჩნია, რომ მისი შემოქმედება ცარიელ ადგილზე აღმოცენდა? მაგრამ არაფრიდან არაფერი არ იქმნება... იქნებ, კ. გამსახურდია ფიქრობს, რომ ის მთლიანად ევროპიული ნიადაგიდან ამოიზარდა. იქნებ, უარყოფს თავისი შემოქმედების ეროვნულ გენეტიურ ფესვებს?!

კ. გამსახურდია იწყებს დიდი ილიას არა მხოლოდ ენის, არამედ მისი მხატვრული ოსტატობის კრიტიკასაც. მაგრამ კრიტიკა კრიტიკას განჰნია! ფეტიშიზმი და ბრმა თაყვანისცემა არასოდეს არ არის საჭირო, მაგრამ არც ჩვენი კლასიკოსების უპატივცემლობა და დაუსაბუთებელი გაბიაბრუება მოგვიტანს სარგებლობას. საინტერესოა, ისეთი რა მიუტევებელი შეცდომები აქვს ჩვენს ილიას, რაც ახალგაზრდობას გემოვნებას დაუმახინჯებს და წაურყვნის? კ. გამსახურდიას ერთი მაგალითი მოჰყავს ამ „მომაკვდინებელი“ ცოდვისა: „მაბალითი ისთვის ილია ბაბუაჯაძე თავის „ბლახის ნაამბობს“ აბრე იწყებს: „მე ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან ისა ვარ“. გადაუთვალიერეთ მთელი მსოფლიო მწერლობა, არც ერთი დიდი მწერალი „მე“-თი არ იწყებს სათხრობს“.

გაუგებარია, რა ეხამუშება აქ კ. გამსახურდიას: „მე“ წინადადების თავში რომ არის მოქცეული, ეს მხატვრულ უსუსურობად მიაჩნია, თუ თავმდაბლობის ნაკლებობად? თავმდაბლობას რაც შეეხება, საქართველოსთვის მსხვერპლად შეწირულ ილიას „ლანდებთან ლაციცის“ ავტორი არამცდაარამც არ გამოადგებოდა მოკრძალებისა და რიდის მაგალითად. ხოლო თუ სათხრობის „მე“-თი დაწყება მხატვრული მოუქნელობის შედეგი ჰგონია, მაშინ პატივცემულ მწერალ-აკადემიკოსს შევახსენებთ, რომ „მე“-ს ვხვდებით მსოფლიოში ცნობილი მრავალი ნაწარმოების პირველსავე წინადადებაში.

„მე ხელს ვკიდებ უმაგალითო საქმეს“, — ასე იწყება რუსოს „აღსარება“.

„მე“-ს ვხვდებით ლ. ტოლსტოის „ბავშვობის“ პირველ წინადადებაში.

„რაც მე ბედკრული ვერთერის შესახებ შევიტყე...“ — ასე იწყებს გოეთე „ვერთერს“.

იქნებ კ. გამსახურდიამ თქვას, ზემოდასახელებულ ნაწარმოებთაგან პირველი ორი ავტობიოგრაფიაა, ხოლო მესამე — დღიურების ფორმით დაწერილი თხზულება და, რასაკვირველია, ავტორი „მე“-ს ვერ აიცდენდაო.

„მთელი კატეგორიულობით მსურს მე დაგარწმუნოთ...“ — ასე იწყება თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“.

„მართალია, მე შემეძლო შევალიე დე გრიეს თავგადასავალი...“, — ასე იწყებს აბატი პრევო „მანონ ლესკოს“.

„მე“-ს ვხვდებით პროსპერ მერიმეს „რედუტის ალებს“, ბუნინის „კარგი ცხოვრების“ პირველსავე წინადადებაში და კიდევ უამრავ საქვეყნოდ ცნობილ ნაწარმოებში, რომლებიც არც ავტობიოგრაფიებსა და არც დღიურების ფორმით დაწერილ ნაწარმოებებს მიეკუთვნებიან.

იქნებ, კ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ „მე“ უვარგისია ნაწარმოების პირველი წინადადების პირველ სიტყვად, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს ამ უკანასკნელი შემთხვევის პირველისაგან პრინციპული განსხვავება.

მეორე „ბრალდება“, ილიას „ბლახის ნაამბობის“ დასაწყისისადმი წაყენებული, შემდეგია: „...რობორ შეიძლება ვინმემ თავის თავზე სთქვას, „ტრფიალი ვარ“, სიყვარული ვარო. უნდა ითქვას: მოტრფიალე ვარ, მოყვარული ვარ“.

საქმე ის არის, რომ „ტრფიალი“ სიყვარულის, ტრფობის გარდა ნიშნავს შეყვარებულს, მოტრფიალეს, მოყვარულსაც, და სწორედ ამ მნიშვნელობით აქვს გამოყენებული ილიას. ასეთი მნიშვნელობით ეს სიტყვა ილიას გარდა სხვებსაც აქვთ ნახმარი:

„ღაწვნი ნაცრემლნი, ტრფიალთ დამწველნი, უფროს შეენდნენ“, — წერს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

„შამაღა დამრჩა ნუგეშად, განთიადისა ტრფიალი“, — ამბობს შიო მღვიმელის ერთ-ერთ ლექსში ტოროლა.

იაკობ გოგებაშვილისადმი წაყენებული ბრალდება კ. გამსახურდიას მიერ არასწორ ციტირებას ეყრდნობა: „ამას წინათ, გამოგცემლობა „ნაკადულმა“ მოგვეინვრად გამოსცა იაკობ გოგებაშვილის პატარა მოთხრობა „იავნანამ რა ჰქნა?“ იგი იწყება სიტყვით „რომ“. ეგეც დარღვევაა თხრობის ელემენტური წესისა“.

ი. გოგებაშვილის ზემოხსენებული მოთხრობა არ იწყება სიტყვით „რომ“. იგი ასე იწყება: „თგილისიდან რომ ადგოსავლეთისკენ წახვიდე...“

თუ ჩვენი სასიქადულო კლასიკოსები ვერ ახერხებდნენ თხრობის ელემენტარული წესების დაცვას (ამ ბრალდებას კი მათ აშკარად უყენებს კ. გამსახურდია), მაშინ რანი ვყოფილვართ, რით მოგვაქვს თავი, ჩვენი საქმე წასული ყოფილა! მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ასე არ არის.

ესეც რომ არ იყოს, ილია ხომ მხოლოდ მწერალი არ გახლდათ. ეს იყო ერის სინდისი, ერის თავისებური სიმბოლო, ერის ბაირახტარი, საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური მეთაური. და რამდენად მიზანშეწონილია დღეს ჩვენი დიდი მამულიშვილის შემოქმედებას ვიწრო ესთეტიკური თუ ენობრივი კრიტერიუმით დავუწყოთ ჩხრეკა.

დამერწმუნოს პატივცემული კ. გამსახურდია, ეს მას არაფერს შემატებს, მით უმეტეს ასევე არაფერს შემატებს ეს ჩვენს თანადროულ კულტურას.

კ. გამსახურდიას შემდეგი დებულება თარგმნისას გენიოსების ტექსტის ხელუხლებლობას, ხოლო პატარა მწერლების „შესწორება-შეკეთებას“ მოითხოვს. მაგალითად, კ. გამსახურდიას რემარკის პირველი რომანი — „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ — ალაგალაგ „შეუსწორებია“. კ. გამსახურდია წერს: „მე შემთხვევით რემარკი ვთარგმნე ერთხელ და მაგრად შევუსწორე მას ზოგზოგი ფრაზა, გამოთქმა“.

ჯერ ერთი, შემთხვევით თარგმნა ცოტა ძნელი წარმოსადგენია, ისევე როგორც რომანის შემთხვევით დაწერა. მეორეც, ეს შეურაცხყოფაა სათარგმნელი ავტორისა და საავტორო უფლების ელემენტარული წესის დარღვევა. და, ბოლოს, რა გუნებაზე დადგებოდა თვითონ პატივცემული კ. გამსახურდია, მის რომელსმე უცხოელ მთარგმნელს რომ განეცხადებინა: „დიდოსტატ კონსტანტინეს მარჯვენა“ შემთხვევით თარგმნეო, და თანაც „მაგრად“ შეესწორებინა მისთვის „ზოგ-ზოგი ფრაზა, გამოთქმა?“

დაგვერწმუნოს პატივცემული მწერალი, რომ გამორიცხული არ არის ისეთი მთარგმნელის არსებობა, რომელსაც მისი ნაწარმოების შესწორების სურვილიც ექნება და მასზე უფრო დიდი რომანისტობის პრეტენზიაც.

ცნობილია, რომ კ. გამსახურდიამ თარგმნა გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ნუბანები“. გოეთე რომ არ არის პატარა მწერალი და მისი „ვერთერი“ შესწორებას რომ არ საჭიროებს, ალბათ ამას არც გამსახურდია უარყოფს. მაგრამ კ. გამსახურდია გოეთეს ტექსტს კიდევ უფრო თავგადასავალი ექცევა, ვიდრე რემარკის ზემოხსენებულ რომანს. სპეციალისტების თქმით, „ვერთერის“ ქართული თარგმანის ყოველ გვერდზე ვხვდებით დედანთან დაშორებას, მთარგმნელის ინტერპოლაციას და გამოტოვებულ ადგილებს. გივი ბაჩეჩილაძეს თავის „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხებში“ (თბილისი, 1958 წ.) არარეალისტური, ტექსტისადმი თვითნებური დამოკიდებულების დამადასტურებელი თარგმანის მაგალითად სწორედ კ. გამსახურდიას თარგმანები მოჰყავს (გვ. 140, 141). აქვე „ვერთერის“ ქართული თარგმანიდან რამდენიმე მაგალითია მოყვანილი, რაც ადასტურებს კ. გამსახურდიას უპატივცემლობას გოეთეს დედნისადმი. გ. გაჩეჩილაძე იქვე დასძენს: „ანალოგიურია შექსპირის „ჰამლეტის“ გამსახურდიასეული თარგმანიც, რომელიც მკვეთრ კონტრასტს შეადგენს ივანე მაჩაბლის რეალისტური თარგმანის გვერდით“ (გვ. 142). კ. გამსახურდია ივანე მაჩაბლის თარგმანთა რევიზიასაც მოითხოვს, რადგან მათში, მისი აზრით „მრავალი უსწორობა და ხელისმოცარვა“ დასტურდება.

სპეციალისტთა ერთსულოვანი აღიარებით კი შექსპირის პიესების მაჩაბლისეული თარგმანები ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

რასაკვირველია, მაჩაბელთან „შეჯიბრება“ აკრძალული არ არის, მაგრამ ამ შეჯიბრების შედეგი თვითონ შეჯიბრების მონაწილემ კი არ უნდა განსაზღვროს, არამედ იმ „მსაჯმა“, რომელსაც მკითხველი ეწოდება.

კიდევ ორი შენიშვნა.

მწერლები თავიანთი ნაწარმოებების დასასრულს ხშირად მიუღოლოებენ ამ ქვეყანაზე, იმ ქალაქსა თუ სოფელზე, სადაც დაწერეა ესა თუ ის რომანი, პოემა, ძალიან იშვიათად გვხვდება ამ სასლოგმითითებაც, სადაც უმუშავია [illegible] გრამ ამგვარ მითითებას ყოველთვის ის აზრი აქვს, რომ დასახელებული სახლი თავისთავად რაღაც ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. კ. გამსახურდიამ თავის წერილს ბოლოში მიაწერა: „ტფილისი... კოლხური კოშკი“. ჩვენი აზრით, უფრო რიგიანი იქნებოდა, რომ პატივცემული მწერალს თავი შეეკავებინა თავისი სახლის ღირსშესანიშნაობად გამოცხადებისაგან და ეს საქმე ხაზოგადოებისათვის მიენდო.

გარდა ამისა, ერთგვარად კურიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე დასტამბული სტატიის ბოლოს მიწერილი „ტფილისი“.

უფრესად უცნაურია ავრეთვე კ. გამსახურდიას შემდეგი მოსაზრება, რომ თქოს: „...„დიალექტური“ და „პროვინციალი“ სიტყვები არ არსებობენ. სიტყვა გასათხოვარ ქალსა ჰგავს, როგორც კი იგი ქალაქში გათხოვებას მოასწრებს, იგი უკვე ქალაქელია“.

ჯერ ერთი, რატომ ჰგონია პატივცემულ მწერალს, რომ სოფლიდან ქალაქში გათხოვილი ყოველი ქალი ახერხებს ქალაქელად ქცევას. ძალიან ბევრ, ქალაქში თუნდაც დიდხანს ნაცხოვრებ ქალს პროვინციელობა ვერა და ვერ ჩამოუცილებია.

ამდენად, ყოველი დიალექტიზმი, მოხვედრილი თუნდაც ისეთი თვალსაჩინო მწერლის ნაწარმოებში, როგორიც კ. გამსახურდიაა, ყოველთვის ვერ ჩამოიცილებს პროვინციულ ეერს და სალიტერატურო ენის ფონდში ადგილს ვერ დაიმკვიდრებს.

რაც შეეხება „დიალექტური“ და „პროვინციალი“ სიტყვების საერთოდ არსებობა-არარსებობას, ამაზე დავა უხერხულადაც კი მიგვაჩნია, რადგან ეს ხაკითხი დიდი ხანია გარკვეულია ენათმეცნიერებაში.

კ. გამსახურდიას ამ მცირე მოცულობის წერილში მრავალი შეცდომა, წინააღმდეგობა და შეუსაბამობაა, — და სწორედ ეს შეცდომები გაცილებით უფრო სახიფათოა ახალგაზრდობისათვის, ვიდრე ჩვენი კლასიკოსების ზოგიერთი მოძველებული გამოთქმა თუ სიტყვა.

ერთადერთი განწყობილება, რაც კ. გამსახურდიას წერილს თავიდან ბოლომდე გამსჭვალავს — ეს არის განწყობილება „უჩემოდ ვინ იმღერეთო“...

გაოცებას იწვევს გაზეთ „თბილისის“ რედაქციის უპრინციპო დამოკიდებულება მწერალ კ. გამსახურდიას ამ მცდარი სტატიის გამოქვეყნებისას. ამით, მეტი რომ არა ვთქვათ, გაზეთმა კ. გამსახურდიას მხოლოდ დათვური სამსახური გაუწია.

მეთოდე კაკაბაძე.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

საერთაშორისო ლიტერატურული ცხოვრება

ურთიერთგაგების ატმოსფეროში

საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შედეგად, რომელიც ძმური მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, 31 იანვარს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს 1964 წელს სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

მიმდინარე წელს საქონლის ურთიერთშიწოდების მოცულობა შეადგენს 760 მილიონ მანეთზე მეტს და მნიშვნელოვნად გადააჭარბებს 1963 წლის მოცულობას.

საბჭოთა კავშირიდან რუმინეთში გაიგზავნება მანქანები და მოწყობილობა, კოქსი და კოქსვადი ქვანახშირი, რკინის მადანი, თუჯი, ფერროშენადნობი, შავი ლითონების ნაგლინი, სპილენძი, ალუმინი, კაბელი და სადენები, აპატიტის კონცენტრატი, ავტომობილები, ბამბა და სხვა საქონელი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა სსრ კავშირს მოაწვდის ელექტროტექნიკურ, ნავთობისა და ქიმიურ მოწყობილობას, გემებს, ნავთობტროდუქტებს. მიღებს, ქიმიურ საქონელს, ხე-ტყის მასალას, ახალ და გადამუშავებულ ხილს, სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონელს. (საკ.).

მტკიცდება სსრ კავშირისა და რუმინეთის ეკონომიური თანამშრომლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

□ **სატელევიზიო** ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ჟიურიმ მონტე-კარლოში პირველი პრიზი „ოქროს ნიფფა“ მიანიჭა ფილმს „საბჭოთა კოსმოხედვა“. ეს ფილმი ასახავს საბჭოთა კოსმონავტების ვალერი ბიკოვსკისა და ვალენტინა ტერეშკოვას ნვრთნას. მომზადებასა და კოსმოსურ ფრენას.

□ **ჩინეთთან** ურთიერთობის განვითარების იტალიის ცენტრის დელეგაცია, რომელსაც სენატორი ფერუჩო პარი მეთაურობს, ეწვია საგარეო საქმეთა მინისტრს ჭოუენე სარაგატს და გადასცა მას მემორანდუმი, რომელშიც მოითხოვს ცნოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ხარაგატმა განუცხადა დელეგაციის წევრებს, რომ მათ მიერ წამოყენებული პრობლემა „ღიად რჩება და იგი ჯერ კიდევ არ მომწიფებულა გადასაჭრელად“.

□ **31 იანვარს** დილით იმ შენობასთან, რომელიც ამერიკელ მრჩევლებს უკავიათ შოლოსში (საიგონის რაიონი), აფეთქდა ბომბი. რამდენიმე კაცი დაშავებულია.

დაიღუპა 43.400 კაცი

ოფიციალური შონაცემებით, 1963 წელს ავტომობილების კატასტროფის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების გზებზე 43.400 კაცი დაიღუპა. ამ ბოლო წლების მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებულია 1.600 ათასი ამერიკელი, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ავტომობილების კატასტროფის შედეგად.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების პრესის მანუფოფილეგაში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებამ უცხოეთის მოსკოველი კორესპონდენტების სტატუსი ჩამოართვა დ. წინადადება მისცა დატოვოს საბჭოთა კავშირი ინგლისის რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტს ბ. ჯონსონს.

ბ. ჯონსონი სსრ კავშირში ყოფნის დროს, მიუხედავად გაფრთხილებისა, არღვევდა გადაცემული ინფორმაციის უტყუარობის ელემენტარულ მოთხოვნებს, საბჭოთა კავშირიდან გზავნიდა კორესპონდენციებს, რომლებიც შეიცავდნენ უხეშ ცილისწამებას საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართ.

ᲛᲔᲣᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

უდაიუური, 2 თებერვალი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ო. პლეშოვი იტყობინება: აქ მუშაობა დაამთავრა განიარაღებისა და საერთაშორისო უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილმა მეცნიერთა მე-12 პაგოშის კონფერენციამ.

გუშინ უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე მიღებულ განცხადებაში, ასახულია თანამედროვეობის ძირითადი საკვანძო საკითხები.

კონფერენცია მიესალმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურთა შეთანხმებას, რომ არ გაიყვანონ ორბიტაზე დედამიწის გარშემო ატომური იარაღით აღჭურვილი ობიექტები. „ჩვენ მოგვიანებით, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ მოსკოვის ხელშეკრულების დადება დიდნაწილადაა ნაბიჯია საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევის გზაზე“.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წინადადებას — განხორციელდეს დედამწყვეტი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუშლიან ატომური იარაღისა და მისი ადგილზე მიტანის საშუალებათა გავრცელებას; ამავე დროს ებმა არ გამოიყენონ ძალა სადავო ტერიტორიული და სასაზღვრო საკითხების გადაჭრის დროს.

კონფერენცია მოუწოდებს განმტკიცდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უფრო სუსტი ერების უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. განცხადება შეიცავს წინადადებას — განხორციელდეს გადამწყვეტი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუშლიან ატომური იარაღისა და მისი ადგილზე მიტანის საშუალებათა გავრცელებას;

ვაშინგტონი, 2 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტები ვ. ვაშედენკო და გ. დერევენსკოი იტყობინებიან:

გუშინ აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლინდონ ჯონსონის პრესკონფერენცია. პრეზიდენტმა კონფერენცია დაიწყო ვრცელი განცხადებით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ შეერთებულმა შტატებმა, „სულ ცოტა, რვა შემთხვევაში ცხადყვეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უზრუნველყოს მშვიდობა და თავისუფლება“.

„ამ შემთხვევებს“ ჯონსონმა, კერძოდ, მიაკუთვნა: ამერიკის შეერთებული შტატები „მოთმინებით განაგრძობენ მეცადინეობას“, რათა აღადგინონ ურთიერთობა პანაგასთან. „მშვიდად განიხილეს თავიანთ მეგობრებთან ერთად კვიპროსის საკითხი“, მიაღწიეს იმას, რომ სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო ხუნტას ახალმა ხელმძღვანელებმა აღუთქვეს „დაუყოვნებლივ გადაფარფოლებთ საომარ მოქმედებას ვიეტკონგის წინააღმდეგო“, შეერთებულმა შტატებმა გაუშვეს რაკეტა „სატურნი“, ყველაზე მძლავრი იმ რაკეტებს შორის, რომლებიც ოდესმე სმენია ადამიანებისა“.

ჯონსონმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ეთანამშრომლენ ყველა დაინტერესებულ მხარეს ინდონეზიისა და მალაიზიის კონფლიქტის გამო, აგრეთვე თავიანთ „მოკავშირეებს“ იმ საშიში მიმართულების გამო“, რომელსაც ეღება ამბები აფრიკის ზოგიერთ დამოუკიდებელ ქვეყანაში“.

ჯონსონმა კვლავ გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საფრანგეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა. ჯონსონმა განაცხადა: არა მგონია შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაეთანხმონ „ჩინეთის

ᲛᲔᲣᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ხაზგასმულია, რომ განიარაღება ვერ იქნება საყოველთაო და სრული, თუ ყველა ერი არ დაიცავს ინსებულ შეთანხმებებს.

განცხადების საბოლოო ნაწილში დიდი ყურადღება ექცევა საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების ეკონომიურ შედეგებს მსოფლიოს ქვეყნებისა და განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის.

პაგოშის შემდეგი კონფერენცია გადაწყდა მოიწვიონ 16 სექტემბერს კარლოვი ვარში.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — ᲠᲔᲙᲘᲙᲐᲕᲘᲙᲘ

Მ. ᲢᲐᲚᲘᲡ ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲘ

რეიკიავიკის საჭადრაკო ტურნირის მონაწილეებმა გასული კვირადღის უკანასკნელი ტურით გადაკვეთეს ასპარეზობის ფინიშის ხაზი. ბრძოლის დასკვნითს ეტაპს უამრავი მაყურებელი ჰყავდა, ყოველი პარტია გამოიარჩეოდა შეუპოვრობით.

აი რა გვაცნობა გუშინ უკანასკნელი ტურის შესახებ ნ. გაფრინდაშვილმა:

ტალის თამაში ყოველთვის ეფექტური და მომხიბვლელია, მაგრამ რეიკიავიკში მან მოღონის ნაკლებ ბრალეულ ბრალეულ ბრალეულ